# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 ნოემბერი, 2015 წელი.

№221 (7866)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## ◉ დღის მთავარი თემა



**პაატა ბურჭულაძის**, მსოფლიო სახელის მომღერლის, თაყვანისმცემელთა წუხილი:

— ვაი, ვაი, როგორც ჩანს, დიდ კარგ ხელოვანს ვკარგავთ, და, სავარაუდოდ, პატარა ცუდ პოლიტიკოსს ვიძენთ!...

— ეგრეა, სამწუხაროდ, ეგრეა... მაგის სახელოვნებას აშკარაა ბევრი ვაიპოლიტიკოსი მიეტმასნა და კიდევ ბევრი მიეტმასნება... ეგ „ორთქმავლად“ უნდათ, ბატონო.

— ფრიად დასანანია, დასანანი, რომ მთელ ამბავს, ცოტა არ იყოს, „ნაციონალური“ სუნი უდის.

— ვაი, ვაი, დალაი, ვთქვათ, დალაი, „იავნანით“ გაზრდილნო ქართველნო...

## აბა, ერთი ლგბტ-პედერასტები შიმშილობდნენ...

რამდენიმე ათეული პატრიოტთა ალიანსის წევრი და უბრალოდ მათი მხარდამჭერი ადამიანები, 8 ნოემბრის შემდეგ, ეს მერამდენე დღეა კანცელარიის წინ პროტესტის ნიშნად ვშიმშილობთ და საქართველოში აკრედიტებული დიპკორპუსიდან არავინ მოსულა, არავის უკითხავს, რატომ და რისთვის ვაგდივართ ამ წვიმასა თუ ქარყინვაში, ან უბრალოდ დაინტერესებულიყვნენ მაინც მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობით?!

აბა, ერთი ლგბტ-პედერასტები შიმშილობდნენ საკუთარი უკანალების უფლებების დასაცავად, აშშ-ის ელჩის თამადობით მთელი ევროკავშირის ელჩები არა მხოლოდ მივიდოდნენ, არამედ მთელი „დემოკრატიული დასავლეთი“ ერთ ვაიუშველებელს ატეხდა, არიქა, საქართველოში „ქათმების კრიახის“ უფლებები ირღვევაო...



3



5

## გვჭირდება ანტიტერორისტული სტრატეგია

სააკაშვილის ხელისუფლებამ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ექსტრემისტული ისლამის წარმომადგენლებთან, როგორც ადგილობრივებთან, ისე უცხოელებთან, რის შესახებაც წერს თავის წიგნში ამერიკელი ექსპერტი ჯეიმს ჯატრასი. ტერორისტებთან ურთიერთობას კურატორობას უწევდა შს მინისტრის მოადგილე ლორთქიფანიძე, რომელიც ამჟამად სააკაშვილთან ერთად იმყოფება ოდესაში. იმჟამად არაერთ შეხვედრას ჰქონდა ადგილი თბილისში, რაშიც მონაწილეობას „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლებიც იღებდნენ.

## სამართალმა პური ჭამა



ვულოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს დავით გურგენიძეს, აგრეთვე თორნიკე კიზირიასა და ლაშა ჭიჭინაძეს მათი გამართლებისა და რეაბილიტაციის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილების გამო.

## ქვეყნის ძირგამომთხრელნი

### „ევროპაში დილის 4-5 საათზე კანდელაკის გაგზავნილი მაილები მეტაფორა გახდა – ხალხი უკვე კომპიუტერს აღარ ეკარება“

6



## ◉ დღის ამფხაზურიდან

**ალეკო მახარობლიშვილი** (ტელეკომპანია ჯი-დი-ესი):

— „პატრიოტთა ალიანსი“ ხელისუფლებაში ჯერ არ მოსულა და უკვე 100 კაცს აშიმშილებს, თუ მოვიდა, თქვენ მერე ნახეთ...



## ჩემი მეგობარი ქართული ტრადიციების სადარაჯოზე

8



## სოსო ჯაჭვლიანი „სითი პარკს“ მკლავს გადაუწევს

2

## ჩინოვნიკებო, რა გეპრემიებათ და გეზედანამატებათ?!

9



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# მთავრობამ პარლამენტს ირაკლი შოთაძის კანდიდატურა ოფიციალურად წარუდგინა

**საკითხზე გადაწყვეტილებას პარლამენტი სავარაუდოდ, მიმდინარე კვირის განმავლობაში მიიღებს.**

მთავრობის წარდგინება პარლამენტში 19 ნოემბერს შევიდა. გადაწყვეტილების მისაღებად პარლამენტს კანონი სამკვირიან ვადას აძლევს, თუმცა აღინიშნა ისიც, რომ მთავრობა საკითხის განხილვას პარლამენტისგან მიმდინარე კვირის განმავლობაში ითხოვს. ბიუროს გადაწყვეტილებით, ირაკლი შოთაძის მოსმენა მიმდინარე კვირას კომიტეტებში გაიმართება. ასევე, მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა როგორც უმრავლესობამ, ასევე უმცირესობამ. სავარაუდოდ, საკითხი დასამტკიცებლად პარლამენტში მიმდინარე კვირის პლენარულ სხდომაზე გავა.

# რუსთაველისა და ეროვნული პრემიის ახალი ლაურეატები

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელოვანები და მეცნიერები შოთა რუსთაველის სახელობისა და ეროვნული პრემიებით დააჯილდოვა.**

უფრო კონკრეტლად, მრავალწლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და თეატრსა და კინოში შექმნილი რჩეული სახეებისთვის მსახიობ **გივი ბერიკაშვილს** შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გადაეცა. საქართველოს ეროვნული პრემიები ხელოვნების დარგში კი მი-



ენიჭათ – მწერალ **ივანე ჩხიკვაძეს,** ბოლო წლებში შექმნილი საუკეთესო პროზაული და პოეტური ნაწარმოებებისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის; მუსიკათმცოდნე **ნანა ქავთარაძეს** – სამუსიკათმცოდნეო წერილების კრებულისთვის „ო, უძლეველო დიდო წამო შემოქმედების“; მხატვარ **ჯემალ კუხალაშვილს** – ბოლო წლებში შექმნილი მაღალმხატვრული ფერწერული ნამუშევრებისა და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის; რეჟისორ **ლევან წულაძეს** – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლისთვის – „როგორც გენებოთ“.

მეცნიერების დარგში კი საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები გახდნენ ფილოლოგი **ენრიკო გაბიძაშვილი** – ფილოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომისთვის – „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“; ფიზიკოსები – **ვახტანგ გოგოხია** და **ავთანდილ შურღაია,** სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის – „ველის კვანტური თეორიის ძირითადი მდგომარეობის ტოპოლოგიური და დინამიკური სტრუქტურა“; ექიმი-რადიოლოგი **ქეთევან ლაშხი,** ექიმი-რადიოლოგი ქეთინო ტორონჯაძე, ექიმი-ენდოსკოპისტი **მამუკა გურგენიძე** და ექიმი-ენდოსკოპისტი **თეიმურაზ იოსელიანი** – სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის – „ჰეპატოპანკრეატოდუოდენური ზონის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობის სტრატეგია თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში“; ექიმი-პედიატრი **ივანე ჩხაიძე,** ექიმი-პულმონოლოგი **თამაზ მაღლაკელიძე,** ბავშვთა ქირურგი პაატა გვეტაძე, ექიმი-პულმონოლოგი **თამაზ ლობჟანიძე** – სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისთვის „რესპირაციული მედიცინა 21-ე საუკუნის დასაწყისში“.

**„მინდა, ჩვენი მთავრობის სახელით, გამოვხატო მადლიერება იმისთვის, რასაც თქვენ ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის აკეთებთ. ეს არის მადლობა იმ დიდი საქმეებისთვის, რასაც წლებია, აკეთებთ. ჩემთვის სასიხარულოა, რომ ბატონ გივი ბერიკაშვილს გადაეცემა რუსთაველის პრემია მისი მრავალწლიანი, განსაკუთრებული, ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ყველას უდიდესი ღვაწლი მიგიძღვით შემოქმედებითი თუ სამეცნიერო მიმართულებით“,** – მიმართა ხელოვანებსა და მეცნიერებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხელოვანები და მეცნიერები მთავრობის ადმინისტრაციაში დააჯილდოვა.

# ლატვიელი მინისტრი საქართველოს ერთიანობაზე ზრუნავს

**ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკევიჩსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერას ადასტურებს. ამის შესახებ რინკევიჩსმა ქართველ კოლეგა გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა იმაზეც, რომ გაემგზავრება საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში.**

„მე ჩავალ სადემარკაციო ხაზზე და ვნახავ, თუ რა ხდება ადგილზე. ძლიერი პოლიტიკური სიგნალები უნდა დავაგზავნოთ მსოფლიოში, რომ არ მოხდეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების, რაც იქნება უხეში დარღვევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის“, – განაცხადა ედგარს რინკევიჩსმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კოლეგას მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ გეგმავს, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი მოინახულოს.

# სოსო ჯაჭველიანი „სითი პარკს“ მკლავს გადაუწევს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოსო ჯაჭველიანმა იურისტ ზვიად ტომარაძესთან ერთად ახალი საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა. ამის შესახებ მათ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.**

კანონპროექტის ავტორები ზვიად ტომარაძე და როინ მიგრიაული არიან და იგი კომპანია „სითი პარკისთვის“ ავტომობილების საჯარიმო ავტოსადგურზე გადაყვანის შესაძლებლობის შეზღუდვას ითვალისწინებს. პარლამენტში პროექტს დეპუტატი სოსო ჯაჭველიანი წარადგენს.

„როგორც მოგეხსენებათ, 2007 წლიდან „სითი პარკის“ მხრიდან მიმდინარეობს ყაჩაღობა. 2015 წლის 29 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ კოდექსში შეტანილ ცვლილებებს შედეგი არ მოჰყვა. ახალი ცვლილებებით მკაფიოდ არის განსაზღვრული ის 3 შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია ავტომობილის საჯარიმოზე გადაყვანა. „სითი პარკი“ სარგებლობს იმ გარემოებით, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილი, რომელსაც აჯარიმებენ არ მი-



მართავს სასამართლოს. „სითი პარკი“ კანონში არსებულ ჩანაწერს „არ აფერხებს მოძრაობას“ სათავისოდ კითხულობს და არ სცემს პატივს საქართველოს კანონმდებლობას,“ – განაცხადა სოსო ჯაჭველიანმა.

კანონპროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლში შემდეგ ცვლილებებს ითვალისწინებს:

ავტომანქანის გადაყვა-



ნა ავტოსადგომზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ სატრანსპორტო საშუალება აფერხებს საავტომობილო მოძრაობას, ან ქმნის საცობს. კანონში კონკრეტდება, რომ საავტომობილო მოძრაობის და არა ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის შეფერხების შემთხვევაში ხდება ავტომანქანის საჯარიმოზე გადაყვანა;

კანონიდან ხდება მესამე შემთხვევის ამოღება: „თუ ქმნის საავარიო სიტუაციას“, რომლის შემთხვევაშიც „სითი პარკს“ ჰქონდა ავტომანქანის ევაკუირების შესაძლებლობა;

კანონიდან ხდება ჩანაწერის ამოღება, „სატრანსპორტო საშუალების ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ ან „დოგმა აკრძალულია“ მოქმედების ადგილიდან სპეციალურ ავტოსადგომზე გადაიყვანენ იმ შემთხვევაში, თუ გადაყვანის შესახებ მინიშნება ახლავს ამკრძალავ ნიშანს“

კანონს ემატება ჩანაწერი: დაუშვებელია სპეციალურ სადგომზე იმ ავტომანქანის გადაყვანა, რომელიც არღვევს ამკრძალავი ნიშნის ძდოგმა-გაჩერება აკრძალულია“ძ ან „დოგმა აკრძალულია“ მოთხოვნას, მაგრამ არ აფერხებს საავტომობილო მოძრაობას ან არ ქმნის საცობს.“

# შურიკოვი სააკაშვილს: ქართული მაფია შექმენი ოდესაში! გამყიდველი ხარ!

**ოდესის „საპორტო ქარხნის“ დირექტორის მოადგილემ ნიკოლაი შურიკოვმა ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვლს, უკრაინულ გადაცემა „Шустер live“-ში,“ მიმართა და იგი ოდესაში ქართული მაფიის შექმნაში დაადანაშაულა.**

„თქვენ აქ, უკრაინის გასანადგურებლად ჩამოხვედით, თქვენ რეალური გამყიდველი ხართ და ამ ქვეყნის მტერს წარმოადგენთ. იმას, რასაც თქვენ გააკეთებთ, ხალხი დაინახავს და ეს თქვენი პოპულიზმი თავის საქმეს გააკეთებს ეკრანებზე. თქვენ ხართ მტერი, უკრაინის მტერი, მე ამას დავამტკიცებ, დამიჯერეთ, მე მოვალ სასამართლოებზე და თქვენ არც ერთი ქვეყანა არ მიგიღებთ.

თქვენ ანადგურებთ ყველაფერს, თქვენ შექმენით ქართული მაფია ოდესაში. ჩვენ დავუბრუნდებით ამ საუბარს ზუსტად ერთ თვეში, მაშინ, როცა მე წარმოვადგენ ციფრებს, როცა მე დავამტკიცებ,რომ ეფექტური მენეჯერი ვარ, 12 წელია უკვე, რაც სახელმწიფო ორგანოებში ვმუშაობ, სადაც მე პატივს მცემენ. მე ვაშენებდი არხებს, გემებს და თქვენ რა ააშენეთ? თქვენ გაანადგურეთ თქვენი ავტორიტეტი საქართველოში, მიატოვეთ იქ ხალხი და თქვენზე იქ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელსაც გაურბიხართ“, – მიმართავს ნიკოლაი შურიკოვი სააკაშვილს.

„ოდესის საპორტო ქარხნის“ დირექტორის მოადგილე ნიკოლაი შურიკოვი ოდესის გუბერნატორს, მიხეილ სააკაშვილს, ქარხნის დესტაბილიზაციაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ გუბერნატორი მედიაში არასწორი ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს.

## კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● **„რახან კაი ხმა გაქვს, რაც პირზე მოგადგება ყველაფერი კი არ უნდა თქვა.**

● **„რუსთავი-2“ გაბუნია რო გამოგყავთ და ათას სისულელეს ალაპარაკებთ – მოლ, პრემიებს ნაციონალებიც იღებდნენ, მაგრამ ისინი ხალხმა არ აირჩია და ვინც აირჩია, იმათ ანაზღაურებაზე გავაკეთებთ აქცენტსო... ძალიანაც მიქარავენ, პრემიებს და დანამატებს თუ იღებენ, მაგრამ ობიექტურობაზე როცა დებთ თავს, წინა ხელისუფლების „შეცდომებიც“ ჩამოგვიწიკწიკეთ სრულად – „ოცნებამ“ დახოცა ხალხი? (აღარ დავკონკრეტდები, ჩემზე კარგად იცით, თანაც, იმდენი ადამიანი შეიწირა სააკაშვილის რეჟიმმა, ვინმე აუცილებლად გამომრჩება და უხერხულია), „ოცნებამ“ დაკარგა ტერიტორიები? ოცნებამ დაარქვა კოდორს ზემო აფხაზეთი და სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთი? „ოცნებამ“ გაასხვისა სტრატეგიული ობიექტები რუსეთზე? „ოცნების“ სისტემური დანაშაული იყო ციხეებში არაადამიანური მოპყრობა და წამება? „ოცნება“ ატერორებდა ბიზნესს?**

**„ოცნება“ ხაფავდა ბიუჯეტს ჩინოვნიკების და მათი ოჯახის წევრების პლასტიკური ოპერაციებისთვის, დასვენებისთვის, სპა-პროცედურებისთვის, დალაქებისთვის, მზარეულებისთვის, ჩაცმა-დახურვისთვის, მასაჟისტებისთვის, საჩუქრებისთვის; „ოცნება“ ატერორებდა თავისუფალ სიტყვას, ტელევიზიებს, ბეჭდურ მედიას? „ოცნება“ იწერდა ბინძურ ფარულ კადრებს შემდგომში დაშანტაჟების მიზნით? ვერ მობრუნდებით ... ვერა! ასე რომ, ტყუილა ნუ იკლაკნებით, დღითი დღე სასაცილოები ხდებით იმ ხალხის თვალში, ვინც აზროვნებს და სხვების მხარდაჭერა ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ.**




● **ვერ ამომიხსნია კვესიტაძის ფენომენი. მოჭმული ძუძუთი არ დაინტერესებულა მიდღემჩი და ბიძინამ 30 წლის წინათ ვის შმუთა, იმაზე რამ გადააფიჩინა?**

● **„რუსთავი-2“-ში, დაახლოებით 5-წუთიანი ქადაგებისას, დავით ბაქრაძემ, ზუსტად 27-ჯერ (არ დამეზარა და დავითვალე) ახსენა სიტყვა „ვიზალიბერალიზაცია“.**

**ჯერ ისედაც არ მხიბლავდა ეს სიტყვა და გუშინ ლამის რწყევამდე (უკაცრავად) მიმიყვანა ამ ბროჭ* კაცმა!**

***ბროჭი – ეს არს იგი, რომელსა ბერძნულად ონკან ჰქვიან (სულხან საბა).***

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

# აბა, ერთი ლგბტ-პედერასტები შიმშილობდნენ...

## აშშ-ის პრორუსული პროპაგანდა საქართველოში?..

**თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ წინამდებარე წერილის მთავარი მუზა ბატონი ემზარ კვიციანია, რომელმაც მედია კავშირ „ობიექტივისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომ იტყვიან „მაგრად მოარტყა“, როცა განაცხადა (ციტირებაზე თავს ვერ დავდებ), რომ...**

**რამდენიმე ათეული პატრიოტთა ალიანსის წევრი და უბრალოდ მათი მხარდამჭერი ადამიანები, 8 ნოემბრის შემდეგ, ეს მერამდენე დღეა კანცელარიის წინ პროტესტის ნიშნად ვშიმშილობთ და საქართველოში აკრედიტებული დიპკორპუსიდან არავინ მოსულა, არავის უკითხავს, რატომ და რისთვის ვაგდივართ ამ წვიმასა თუ ქარყინვაში, ან უბრალოდ დაინტერესებულიყვნენ მაინც მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობით?!**

**აბა, ერთი ლგბტ-პედერასტები შიმშილობდნენ საკუთარი უკანალების უფლებების დასაცავად, აშშ-ის ელჩის თამადობით მთელი ევროკავშირის ელჩები არა მხოლოდ მივიდოდნენ, არამედ მთელი „დემოკრატიული დასავლეთი“ ერთ ვაიუშველებელს ატეხდა, არიქა, საქართველოში „ქათმების კრიახის“ უფლებები ირღვევაო...**

**ჩემ მხრივ იმასაც დავსძენ, რომ ჩიორა თაქთაქიშვილის გატეხილი ცხვირის გამო ევროსაბჭოს მთელი დელეგაცია ეწვია მოსანახულებლად „ლოგინად ჩავარდნილ“ ავადმყოფს(?!).**

**ეს ისე, როგორც ჩემს მეგრელ ბაბუას უყვარდა თქმა, „მაგალითო ვრაგადანქ“, თორემ მე რა მენაღვლებაო...**

მართლაც, შინაც და გარეთაც ყველამ იცის, რომ საგარეჯოს არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“, სააკაშვილის რეჟიმის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით, რესპუბლიკელი ბუდარიხას სასარგებლოდ გააყალბა და გამარჯვებული ირმა ინაშვილი დამარცხებულად გამოაცხადა?!

ამიტომაც უწოდა „დამარცხებულმა“ ირმა ინაშვილმა დღევანდელ ხელისუფლებას მიშა-2 და კანცელარიის წინ საპროტესტო უვადო შიმშილობა გამოაცხადა, თუმცა, სამწუხაროდ, პატრიოტთა ალიანსი ამაზე შორს ჯერჯერობით ვერ თუ არ წავიდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

მანამდე კი ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ:

სხვა რომ არაფერი, იმ ფონზე, როდესაც „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით ევროპარლამენტი თუ ევროკავშირი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მაგარ რეზოლუციას „გამოაცხობდა“ საქართველოში „თავისუფალი მედიის“ დასაცავად, რაც ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ შეურაცხყოფად (განსაკუთრებით აშშ-ის ელჩის უგვანო განცხადება) აღიქვა...

**საქართველოში აკრედიტებული დასავლეთის დიპ-კორპუსის, უწინარესად აშშ-ის საელჩოს მიერ ზემოთ ხსენებული პროტესტის უკიდურესი ფორმის სრული იგნორი (მოშიმშილეთა მონახულებას ვინღა დაეძებს) არის თუ არა საქართველოში პრორუსული განწყობების მატების კიდევ ერთი მოტივაცია?**

დიახ, კიდევ ერთი.

ახლა კი მცირე ისტორიული ექსკურსი საქართველოს უახლეს ისტორიაში, რათა გავიხსენოთ, იმ „სხვაც რომ არაფერს“ და ამ „კიდევ ერთს“ რამდენი მსგავსი რამ უძღოდა წინ...

**გასული საუკუნის 90-ანების დასაწყისი, როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა მამაბუშმა ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნა(?!).**

თუმცა ამერიკის პრეზიდენტის წუნიაობამ ბევრი ვერაფერი დააკლო საქართველოში პროამერიკულ განწყობებს, რადგან იმ შავბნელ პერიოდში ქართველი საზოგადოება გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ეს ერთი, და მეორეც, ჯერ კიდევ სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი საქართველო, საბჭოეთის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით (მათ შორის ბალტიის ქვეყნებთანაც), ყველაზე უფრო პროამერიკულად განწყობილი რესპუბლიკა იყო!

**ეს განწყობები ინერციით არც შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში შესუსტებულა. პერიოდში, რომელსაც თამამად შეიძლება, ბრეჟნევის მსგავსი უძრაობის (ზასტოის) პერიოდი ვუწოდოთ...**

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, საქართველოში პროამერიკულ, გნებავთ პროდასავლურ განწყობებს პირველად აშშ-ის პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის შემდეგ „შეუდგა წყალი“...

პრემიერი ჟვანია ახალი მოკლული იყო და მაინც შვილმა ბუშმა სააკაშვილის რეჟიმს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა?!



**ჰოდა, მაშინ აიშვა დემოკრატიის შუქურის ვარსკვლავბიჭუნა მიშიკომ — დაიწყო „ველური ქართველების“ მორჯულების პროცესი მასობრივი დაპატიმრებების მეშვეობით...**

ბუტა რობაქიძის და სანდრო გირგვლიანის მკვლელობები, ე.წ. ციხის ბუნტის სისხლიანი ჩახშობა და ა.შ. რომელი ერთი გავიხსენოთ იქიდან, რამაც ლოგიკურად მიიყვანა სააკაშვილის რეჟიმი 2007 წლის 7 ნოემბრამდე...

**ტელე „იმედის“ დარბევისას რატომღაც ისეთი მძაფრი რეაქცია არ გვინახავს აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან, როგორიც ახლა ჰქონდათ „რუსთავი-2“-ს სიცრუის პროპაგანდის მანქანის მიმართ...**

შემდეგ, „სიაფანდზე“ გადამდგარი სააკაშვილი და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული „გრეჩიხას“ დამარცხებულად გამოცხადება;

ბადრი პატარკაციშვილის ბურუსით მოცული გარდაცვალება (წაიკითხე, მკვლელობა) და ამ ყველაფერზე აშშ-ს კვლავ დუმილით ავადმყოფი სააკიანცის კიდევ უფრო მეტად წახალისება!

**ჰოდა, მიშამაც წაიხალისა და 2008 წლის ომი გააჩაღა; ამავე პერიოდიდან იწყება ციხეებში პატიმართა თუ ციხეებს გარეთ მოქალაქეთა წამება-გაუპატიურებების მასობრივი კამპანია;**

**ასობით ახალგაზრდის ქუჩებში დახვრეტები;**

**26 მაისის სისხლიანი ღამე, რომელიც პირადად ამერიკის მაშინდელი ელჩის ჯონ ბასის სინდისზეა!..**

**ამ ყველაფერზე ამერიკის არა მხოლოდ დუმილი, არამედ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმისთვის გუნდრუკის კმევა...**

და ბოლოს ბიძინა ივანიშვილის „მოულოდნელი“ გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში — დიახ, მოულოდნელი წინწკლებში, რადგან დღეს თითქმის აღარავის სჯერა საქართველოში, რომ ბიძინას ავი სიზმარი ეზმანა და გამოღვიძებულმა იყვირა, არიქა, სამშობლო მეღუპებაო?!

თუმცა, ახლა მსგავსი ლირიკული გადახვევების დრო არ არის!

ანუ, სიზმრით იყო თუ ზმანებით, სამების აღმშენებელი მოვიდა ქართულ პოლიტიკაში და 2012 წლის 1 ოქტომბერი მოგვიტანა, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ქართველი ხალხისთვის საძულველი ნაცბანდის, როგორც მინიმუმ პოლიტიკიდან გატანა და ქართველთა სისხლში ამოსვრილი ბობოლა ნაცების საკადრისად დასჯა!

ერთი სიტყვით, სამართლიანობის აღდგენა, რაც უპირველესი დაპირება იყო ქართული ოცნებისა...

ამის მაგივრად კი რა მივიღეთ? ჯერ 40 % დაუწერეს ამერიკელებმა ქართველთა მწამებელ ნაცებს და შემდეგ კოჰაბიტაცია მოგვახვიეს თაზე და ნაცბანდა მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოგვიცხადეს!

**სწორედ აქედან დაიწყო საქართველოში პროამერიკული განწყობების კლების შეუქცევადი პროცესი რუსეთის სასარგებლოდ და დღეს ამ პროცესმა ამერიკისთვის იმ საგანგაშო ნიშნულს მიაღწია, რომ თვით ამერიკული „ენდიაიც“ კი იძულებული გახდა, ევრაზიული კავშირის მომხრეებად საქართველოში, გამოკითხულთა 31% აღიარა!..**

ამის გამო საქართველოში აშშ-ის მიერ დაფინანსებულმა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისტერიკა დაიმართეს — ეს ყველაფერი რუსული პროპაგანდის შედეგიაო და იგივე აშშ-მა საკუთარ „ასოებს“ 10 მილიონი დოლარი გამოუყო კონტრპროპაგანდისთვის(?!).

აშშ და ზოგადად აგრესიული ნეოლიბერალიზმი, რომელიც მართავს დასავლეთს და მათ სატელიტ ქვეყნებს, რომელთა შორის, სამწუხაროდ, საქართველოც მოიაზრება, არაფრის დიდებით არ დაუშვებს საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლას!

**ამას დაუმატეთ ისიც, რომ აშშ იქცა ლგბტ-ქათმების ლიდერად და ამ „სიკეთის“ დამკვიდრებას მთელს მსოფლიოში, უწინარესად საკუთარ სატელიტ ქვეყნებში აპირებს და ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ თავად აშშ-ის ქმედება-უმოქმედობების შედეგია პრორუსული განწყობების მატება და არა მითიური რუსული პროპაგანდისა, რომელიც, სამწუხაროდ, ბუნებაში არ არსებობს.**

**დიახ, სამწუხაროდ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ, რუსეთი ქართულ პოლიტიკაში ფულს რომ დებდეს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ლავირების, ბალანსირების საშუალება ექნებოდა და აღარ შეეშინდებოდა ნეოლიბერალების (წაიკითხე, ნაცების, რესპების, ალასანიას პარტიის და ა.შ.) მიერ პრორუსული იარლიყების მიკერებისა, რადგანაც რუსეთის საქართველოს პოლიტიკაში ღიად ჩართვის შემთხვევაში პროამერიკელობა აღარ ჩაითვლებოდა** (ამერიკელების ღიად ჩართულობას ვინღა ჩივის, პრაქტიკულად, ისინი მართავენ საქართველოს თეთრი სახლის „ობკომის“ აშშ-ის საელჩოს მეშვეობით, ვითომდა რუსეთს რატომ არა აქვს მართვის თუ არა ჩართვის უფლება მაინც, თანაც ერთმორწმუნე საქართველოს პოლიტიკაში?) **აპრიორი პატრიოტობად და პირიქით, პრორუსულობა აპრიორი მოღალატეობად!**

და აი, როგორც ზემოთ შეგპირდით, ბუნებრივად მივადექით ისევ პატრიოტთა ალიანსის თემას...

**ყოველივე ზემოთ თქმული, ამ პარტიის ლიდერებმაც იციან, მაგრამ პრორუსული იარლიყის მიკერების შიშით, ჯერჯერობით ყველაფერს თავის სახელს ვერ არქმევენ.**

იხ. 7 გვ.

## ⊙ ალიან-ჩალიანი

### გამკაცრდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შემოშვება

**შსს-მ საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ, საქართველოში სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების შედეგები გამოაქვეყნა. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა 2015 წლის 14-დან 24 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით, საქართველოს 1 და უცხო ქვეყნის 31 მოქალაქე დააკავეს.**

**„2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის დავალებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ყველა გამშვებ პუნქტში სავიზო კონტროლი გამკაცრდა.**

**საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ახდენენ მგზავრებთან დეტალურ გასაუბრებას და მათი ვიზიტის ნამდვილი მოტივაციის გამოვლენას. განსაკუთრებული ყურადღებით მოწმდება ქვეყანაში შემომსვლელთა სამგზავრო დოკუმენტები, კონტროლდება სატრანზიტო მგზავრთა ნაკადი, რათა მაღალი რისკების მქონე ქვეყნების მოქალაქეები, საქართველოს გავლით, სხვა ქვეყნებში არალეგალურად არ მოხვდნენ. ზემოხსენებული პროცედურები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტარდება.**

**2015 წლის 14 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გავლით, საქართველოში შემოსვლაზე უარი უცხო ქვეყნის 479 მოქალაქეს ეთქვა. შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების მიზნით გაძლიერდა სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა და მოხდა დამატებითი ძალების მობილიზება.**

**სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა 2015 წლის 14-დან 24 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით, საქართველოს 1 და უცხო ქვეყნის 31 მოქალაქე დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც აგრძელებს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობას, რომ დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოება“, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.**

### ყურანის ციტატები სპეციალურადაა დამახინჯებული

**„ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებულ ვიდეოში ოსტატურად არის გამოყენებული ყურანის ციტატები, საიდანაც სათავისო ინტერპრეტაციებია გაკეთებული და ძალადობისკენ მოწოდებებია, — ამის შესახებ „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ ხელმძღვანელმა ტარიელ ნაკაიძემ „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებული ვიდეოს კომენტირებისას განაცხადა.**

**მისივე განმარტებით, მუსლიმი მრევლის წინამძღვრები უნდა შეეცადონ აღნიშნული ციტატების განმარტებას და მრევლისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას.**

**„რა თქმა უნდა, ეს ციტატები არ გულისხმობს ძალადობას თავის რეალობაში. მუსლიმი მრევლის წინამძღვრები განსაკუთრებული მონდომებით უნდა შეეცადონ არა აღშფოთებითა და დაგმობით საქმის გამოსწორებას, არამედ ეს ფრაზები სწორად უნდა განმარტონ. დღეს არის დრო, როცა მუსლიმი მრევლის წინამძღვრები მაქსიმალურ დროს უნდა ატარებდნენ თავიანთ მრევლთან და სწორად აწვდიდნენ ინფორმაციას ისლამის შესახებ, რათა ასეთმა მიმართვებმა არ მოახდინოს ზემოქმედება მრევლზე“, — აღნიშნა ტარიელ ნაკაიძემ.**

**მისივე თქმით, გარდა რელიგიური წინამძღვრებისა, საკითხის მიმართ განსაკუთრებული მიდგომები უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ. „მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დაიცვას მუსლიმების უფლებები. კერძოდ, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხი, მოხეს მეჩეთის გადაცემის, სასწავლებელზე ღორის თავის მიკვრის და სხვა საკითხები კომპლექსური მიდგომებით უნდა გადაწყდეს. ხშირად მითქვამს, რომ შედეგების გარდა უნდა ვისაუბროთ მიზეზებზე. საიდან წარმოიშვა, რატომ მიდიან სირიაში, რამ აიძულათ ასეთი ქმედებებისკენ და სხვა. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა აამოქმედოს სამართლებრივი ზომები და უნდა იყოს ფხიზლად“, — განაცხადა ტარიელ ნაკაიძემ.**

**ინტერნეტში ქართველი ხალხის მიმართ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით მებრძოლების ვიდეომიმართვა გავრცელდა. ქართულ ენაზე მოსაუბრე პირები ქართველი ხალხის და საქართველოში მცხოვრები მუსლიმების მიმართ საუბრობენ. ისინი მუსლიმებს „ისლამური ხალიფატის“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ.**

**ინტერპრესი**

◎ სოფელი

# მოიტანს დღეს „დანერგილი მომავალი“ სამომავლოდ ნაყოფს?

**აგრარულ სექტორში განხორციელებული პოლიტიკის შედეგები**

**ხელისუფლება აგრარულ სექტორში განხორციელებული პოლიტიკის 3 წლის შედეგებს აჯამებს. ამ პოლიტიკამ ბოლო სამი წლის განმავლობაში აგრარული სექტორის წილი მშპ-ში ვერ გაზარდა და, მაგალითად, 2014 წლისთვის კვლავ 8,2 პროცენტის ფარგლებში იყო, თუმცა თავად დარგში ციფრობრივი ზრდა შეიმჩნევა. იმაზე, თუ რა თანხები დახარჯა ხელისუფლებამ ამ „სტაბილური“ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი დეტალები:**

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 2013 წლიდან დღემდე სულ 642, 6 მილიონი ლარი და 163 მილიონი აშშ დოლარი გაიცა. ოფიციალური ინფორმაციით, იმისათვის, რომ მეწარმეებისა და ფერმერებისთვის იაფი ფინანსური რესურსი ხელმისაწვდომი ყოფილიყო, დღეის მდგომარეობით, სულ 25 200 შეღავათიანი აგროკრედიტი გაიცა.

უწყების განმარტებით, სულ დაფინანსებულია 139 ახალი საწარმოს შექმნა და 665 საწარმოს გაფართოება. **„ახალ საწარმოებში შეიქმნა** (სეზონურობის ჩათვლით) **3 500 სამუშაო ადგილი“,** — განმარტავენ უწყებაში. რაც შეეხება პროექტს „აწარმოე საქართველოში“, მის ფარგლებში გაცემულია 18 029 298 მლნ აშშ დოლარის შეღავათიანი სესხი. **დაფინანსებული დარგებია: რძის გადამუშავება, ჩაის წარმოება, ცხოველის საკვების წარმოება, ხილის გადამუშავება, მეფრინველეობა, სასათბურე მეურნეობა.**



სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამწლიან ანგარიშში, რომლის პრეზენტაციაც დღეს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა, ნათქვამია, რომ 2014-2015 წლებში აგროდაზღვევის პროგრამით, ჯამში, 27 000 პოლისია გაცემული. ოფიციალური ინფორმაციით, დაზღვეულია 180 მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. **„დაზღვეულია 23 132 ჰა მიწის ფართობი. სააგენტოს მიერ გადასახდელი სუბსიდირების თანხა შეადგენს 13 545 034 ლარს“,** — აცხადებენ სამინისტროში.

როგორც ცნობილია, აგროსექტორში, სადაზღვევო ბაზრის განვითარების მიზნით, 2014 წლის სექტემბრიდან აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა დაიწყო. რაც შეეხება გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტს, რომელიც ასევე 2014 წლიდან დაიწყო, მის ფარგლებში დამტკიცებულია 28 პროექტი. **„დამტკიცებული პროექტების ჯამური თანხა შეადგენს 18 335 406 აშშ დოლარს, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს7 199 004 აშშ დოლარს. პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 11 ახალი საწარმო. თანადაფინანსების სახით გაცემულია 3 300 352 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში“,** — აღნიშნავენ უწყებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, განხორციელდა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სამწლიანი პროექტი. **„2013 წლიდან ყოველწლიურად დახმარებას იღებს800 000-მდე გლეხი და 220 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება“,** — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. რაც შეეხება 2015 წლის 6 მარტიდან დაწყებულ პროექტს„დანერგე მომავალი“, ოფიციალური ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში (ბაღების გაშენების კომპონენტში) დამტკიცებულია 52 პროექტი. გაშენებულია 89.63 ჰა ინტენსიური ტიპის ბაღი. „მიმდინარეობს 322 ჰა ბაღის გაშენება. თანადაფინანსების სახით გაცემულია 575 890 ლარი. დამტკიცებული პროექტების ფარგლებში გასაცემია 1 101 301 ლარი“, — განმარტავენ უწყებაში.

როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, 2013-2015 წლებში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 87 სარეაბილიტაციო პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 62 000 000 მლნ ლარი შეადგინა. **„შედეგად, დღეისთვის წყალუზრუნველყოფილია 97 000 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო დაშრობილია 28 375 ჰექტარი. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 420 კმ სადრენაჟე არხს, 721 კმ საირიგაციო არხს და 11 ერთეულ სატუმბ სადგურს. „საქართველოს მელიორაცია“ 2015 წელს შეიქმნა მობილური მელიორაციის სამსახური. მობილური სატუმბების მეშვეობით მოირწყა 200 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი“,** — ნათქვამია უწყების ანგარიშში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პროექტებმა მშპ-ში აგრარული სექტორის წილი ვერ გაზარდა, თუმცა, თავად სექტორის ზრდა 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 11 პროცენტის ფარგლებში იყო, რაც ამ დარგისადმი ყურადღების კონცენტრირების ერთჯერადი ეფექტი გახლდათ. ცხადია, აგრარული სექტორის ინვესტიციები მაინც გრძელვადიან ეფექტზეა გათვლილი და მოიტანს თუ არა დღეს „დანერგილი მომავალი“ სამომავლოდ ნაყოფს, ამას, ტრადიციულად, დანერგვიდან 3-5 წელიწადში ვნახავთ.

**ნინო ევგენიძე**

◎ „გაიღე-მიიღე“

# ჯადოსნური კარადა - მოქალაქეთა ინიციატივა ზუგდიდში

**ზუგდიდში, უფასო სასადილოს გვერდით, დამონტაჟდა კარადა „გაიღე-მიიღე“, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია როგორც დატოვოს, ასევე წაიღოს საყოფაცხოვრებო ნივთები და საკვები პროდუქტები. კარადა ზუგდიდელი ახალგაზრდების ჯგუფმა საკუთარი ინიციატივით გააკეთა და დაამონტაჟა. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი როსტომ ზარანდია აცხადებს, „გაიღე-მიიღეს“ მოწყობის იდეა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გაჩნდა, მისი აქტიური მომხმარებლების ინიციატივით კი შეგროვდა 480 ლარი, რაც კარადის აწყობას მოხმარდა.**



„ფეისბუქზე არსებობს ასეთი ჯგუფი, „ზუგდიდი თაიმს“ ჰქვია, სადაც აქტიური მოქალაქეები ვცდილობთ, გამოვთქვათ ინიციატივები ასეთი რაღაცები გავაკეთოთ. ამ ჯგუფის უხუცესი წევრი და ადმინისტრატორი მერაბ ოკუჯავაა. მან დაპოსტა კახეთის „გაიღე-მიიღეს“ კარადის შესახებ და კომენტარებში ავყევით მოქალაქეები, რომ რატომაც არ უნდა გაგვეკეთებინა ეს კარადა ზუგდიდში“, ამბობს როსტომ ზარანდია.

ახალგაზრდების ინიციატივას — დაეხმარონ სოციალურად დაუცველ ოჯახებს — უკვე გამოეხმაურნენ. პირველი, ვინც კარადაში სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთი მიიტანა, ზუგდიდელი სალომე ფარცვანია იყო.

**„ინიციატივა ძალიან მომეწონა. ჩვენს ქალაქში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ასეთი კარადა დაიდგა. არის უამრავი სოციალურად დაუცველი და არა მარტო, არიან მოხუცები, რომლებსაც არა აქვთ თბილი ტანსაცმელი. ამ შემთხვევაში მე მივიტანე თბილი ტანსაცმლები. იმედი მაქვს, ეს გამოადგებათ და ეს ზამთარი იქნებიან თბილად“,** — ამბობს სალომე ფარცვანია.

სოციალური პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ ზუგდიდის მერიამ მათ „გაიღე-მიიღეს“ დადგმის უფლება დროებით მისცა, ვადის გასვლის შემდეგ კი მას თავად მოუწევთ მისი დემონტაჟი. თავის მხრივ, მერიაში აცხადებენ, რომ კარადის განთავსების ნებართვა მხოლოდ მისი სოციალური დატვირთვის გამო 6 თვით გაიცა. როგორც მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მაია ღუბელაძე აცხადებს, თუ პროექტი გაამართლებს, მერია მზად არის, ქალაქის იერსახის გათვალისწინებით, ინიციატორებს კარადის ახალი ესკიზი შესთავაზოს.

**„ჩვენ ვთვლით, რომ კონსტრუქცია უფრო კრეატიული ფორმითაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ექვსთვიანი ვადა დროებითი ვადაა, ჩვენ დავაკვირდებით, რამდენად მიმზიდველი იქნება ეს კუთხე მოქალაქეებისთვის. თუ გაამართლებს, მზად ვართ, ინიციატორებს კონსტრუქციის ესკიზის შექმნაშიც დავეხმაროთ“,** — განაცხადა მაია ღუბელაძემ.

სოციალური პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ ზუგდიდელები აქტიურობას გამოიჩენენ და დაეხმარებიან მათ, ვისაც ეს სჭირდება. ორგანიზატორები მოუწოდებენ მოქალაქეებს, ადგილზე მოიტანონ არამალფუჭებადი საკვები და სხვადასხვა საჭირო ნივთი.

**თამარ ზანთარაია,**
რადიო „თავისუფლება“

◎ სოციალური ყოფა




# დენის ტარიფით, ხალხის გარდა, ყველა კმაყოფილია

**ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფი ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა. ენერგოკომპანიები, ენერგეტიკის სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა კმაყოფილნი არიან ხალხისა და ბიზნესისგან მიღებული დამატებითი შემოსავლებით. ის კი არადა, საზოგადოებას დამამშვიდებელ მესიჯს უგზავნიან, რომ ახლო მომავალში ტარიფს დამატებით აღარ გაზრდიან.**

„ენერგო-პრო“ დენის ტარიფის გადახედვის მოთხოვნით სემეკში განაცხადის შეტანას აღარ აპირებს. კომპანიის გენერალური დირექტორი მიხეილ ბოცვაძე ამბობს, რომ ახალი წლიდან ნაკლებად სავარაუდოა, გადასახადის ზრდა ან შემცირება მოხდეს. არსებული ტარიფით საქმიანობას, ასე თუ ისე, ახერხებენ და კომპანია ზამთარსაც მომზადებული ხვდება.

ტარიფების გადახედვას არ ელის არც „თელასის“ გენერალური დირექტორი. სერგეი კობცევი ამბობს, რომ სანდოობის გარანტიისა და საინვესტიციო პროგრამებისთვის თანხა არსებულ ტარიფში საკმარისია.

დენის გადასახადის კორექტირებას ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძეც გამორიცხავს. მინისტრის მტკიცებით, მთავრობამ საარჩევნო დაპირება შეასრულა და ტარიფი 4 თეთრით შეამცირა, მაგრამ ლარის დევალვაციის გამო, დენის ტარიფის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.

**„ამასთან დაკავშირებით განმარტება გავაკეთეთ. რა თქმა უნდა, მოსახლეობისთვის მძიმე და მტკივნეულია, როდესაც ტარიფი ძველ ნიშნულს დაუბრუნდა. როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, ელექტროენერგიის საფასური 4 თეთრით შევამცირეთ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როდესაც დოლარი ლართან მიმართებაში გამყარდა, ხოლო ზამთრის თვეებში დიდი რაოდენობით ელექტროენერგიის შემოტანა გვიწევს, თბოელექტროსადგურები კი იმპორტირებულ გაზზე მუშაობენ, ტარიფი ძველ ნიშნულზე დაბრუნდა, რომელიც 2012 წლამდე იყო“,** — განაცხადა კალაძემ.

რამდენიმე თვის წინათ ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების შემდეგ ენერგოკომპანიებმა სემეკს ტარიფის გადახედვის მოთხოვნით მიმართეს. აგვისტოდან „ენერგო-პროს“ მოთხოვნის საფუძველზე ელექტროენერგია რეგიონებში 3,95 თეთრით გაძვირდა. მოგვიანებით, სემეკს ტარიფის გადახედვა უკვე „თელასმაც“ მოსთხოვა. ამ შემთხვევაშიც მიზეზად ლარის დევალვაცია დასახელდა. დენის ტარიფი დედაქალაქშიც რეგიონების ანალოგიურად გაიზარდა.

საქართველოს ენერგოსისტემა კი პირობას იძლევა, რომ ზამთარში მოსახლეობას არც უშუქობა შეაწუხებს და გაუთვალისწინებელ ტექნიკურ ხარვეზებსაც ძალიან სწრაფად აღმოფხვრიან.

**— „ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მობილური ჯგუფები და ყველანაირად მზად ვარ, რომ ზამთარს შევხვდეთ მობილიზებულნი“**, — აცხადებს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძე.

მისი ინფორმაციით, საქართველოს ენერგოკომპანიებმა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ წარმოადგინა თავისი გეგმები, თუ როგორც ემზადებიან ზამთრის პერიოდისთვის, რა სარეაბილიტაციო სამუშაოები გაკეთდა ბოლო პერიოდის განმავლობაში.

**— ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროისთვის ყველანაირად მობილიზებულნი ვართ. ის სამუშაოები, რაც დაგეგმილი იყო, განვახორციელეთ. შევქმენით საკმაოდ ძლიერი მობილური ჯგუფები იმ სიტუაციისთვის, თუკი იქნება ბუნებრივი კრიზისები. ჩვენ არ ვართ დაზღვეულნი სტიქიური მოვლენებისგან, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მზად ვართ იმისთვის, რათა პასუხი გავცეთ ყველანაირ მოვლენას, რაც იქნება ელექტროსისტემაში,** — განაცხადა სულხან ზუმბურიძემ.

რაც შეეხება ტარიფებს, ზუმბურიძის ინფორმაციით, მისი გადახედვა წელს უკვე მოხდა და წლის ბოლომდე არანაირი ცვლილება არ იგეგმება.

**— ის შემოსავლები რაც გვაქვს, ახალი ტარიფებიდან გამომდინარე, აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ გავმართოთ ტექნიკურად ჩვენი მოწყობილობები, ჩვენი სისტემა, ისევ და ისევ იმისთვის, რომ ზამთარს შევხვდეთ მობილიზებულნი,** — განაცხადა სულხან ზუმბურიძემ.

**ბექა დანელია**

№221. ოთხშაბათი, 25 ნოემბერი, 2015 წელი.

# გვჭირდება ანტი-ტერორისტული სტრატეგია



**რუსული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდებამ და პარიზში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა სერიოზულად შეახსენეს მსოფლიოს, რომ არსებობს „ისლამური სახელმწიფო“, ერთობ ძლიერი და ანგარიშგასაწევი, შორსმიმავალი გეგმებით, მიზნებით, ამოცანებით, რომელთა წინასწარ ამოცნობა მიწისძვრის ამოცნობის ტოლფასია.**

თანამედროვე ტერორიზმი თავისი არსით ისტორიულისგან არაფრით განსხვავდება, თუმცა ახალს ისეთი დამახასიათებელი რამ აქვს, რაც მას სხვა ელფერს მატებს — თავის შეწირვა. „ისტორიული“ ტერორისტი, ტერორისტული აქტით „ტკბობას“ ანიჭებდა მნიშვნელობას და სადღეისო, მითუმეტეს სახვალიო ცხოვრებაში თავის თავს ხედავდა.

თანამედროვე ტერორიზმში, რომელიც ექსტრემისტულ ისლამს უკავშირდება და არა ზოგადად ისლამს, მიზნის მისაღწევად ხშირად გამოიყენება თვითმკვლელობა, თავის აფეთქება ან ისეთი თავდასხმის განხორციელება, რომელსაც ტერორისტი ეწირება. პარიზში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა აღნიშნულის დასტურია. იქ ტერორისტებმა თავიც აიფეთქეს და შეტევაც განახორციელეს, რომლის დროსაც დაიხოცნენ.

პარიზის ტერაქტი „ისლამურ სახელმწიფოში“ წარმატებულად შეფასდა, ვინაიდან 7-მა ტერორისტმა საიქიოს გაისტუმრა 130 ადამიანი, ორი იმდენი დაასახიჩრა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ისეთი შიშის ზარი დასცა მსოფლიოს, განსაკუთრებით საფრანგეთს — უკეთესს ვერც ერთი ტერორისტული ორგანიზაცია რომ ვერ ინატრებდა.

ტერორისტული აქტით შეძრწუნებულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა განცხადება გააკეთა და განადგურებით დაემუქრა „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებს. ტერორისტების მიმართ მუქარის შემცველი იყო რუსეთის პრეზიდენტის პუტინის განცხადებაც. იმუქრებოდნენ და იმუქრებიან სხვა ქვეყნების ლიდერებიც, მაგრამ რამდენად შეძლებენ ამ მუქარით „ისლამური სახელმწიფოს“ ან სხვა ტერორისტული ორგანიზაციების დაშინებას, ძნელი გამოსაცნობია.

ადამიანი, რომელიც თავს იფეთქებს ან ტერორისტულ შეტევაზე გადადის და სიცოცხლეს სასწორზე დებს, არ შეშინდება, ვინაიდან უკვე უხორცოა. უხორცობა კი ადამიანის ტვინის სხვაგვარი მოქმედების, მასზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგია.

თვითმკვლელებს, ანუ შაჰიდებს ზრდიან. პატარა ასაკიდან იწყება გოგონების და ბიჭების თავის ტვინის გადაგვარება, რაც სისტემატურად ხდება ამა თუ იმ ქვეყანის ტერიტორიაზე არსებულ ამა თუ იმ ტერორისტულ ორგანიზაციაში. ასე იყო და არის ავღანეთ-პაკისტანში გამაგრებულ „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანში“, ნიგერიაში მოქმედ „ბოკო ჰარამში“, სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე შექმნილ „ისლამურ სახელმწიფოში“, „ალ-ქაიდას“ ფილიალ „ჯებხატ ან-ნუსრაში“, ასევე სირია-ერაყის ტერიტორიებზე მოქმედ სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებში, რომელთა უბრალო ჩამოთვლას ფურცელი ვერ დაიტევს.

ტერორიზმმა, წინაპართან შედარებით რომ ფერიცვალება განიცადა, ფაქტია. ფერნაცვალი ტერორიზმის აშკარა მაგალითია „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც სახელმწიფოობას იჩემებს და მის მიერ დაპყრობილ სირია-ერაყის ტერიტორიებზე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ლამობს. ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე ფიქრი სიახლეა ტერორიზმში.

„ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორია საკმაოდ დიდი ზომისაა, თანაც ისეთი სიმდიდრით ცნობილი, როგორიცაა ნავთობი. ათი მილიონი ადამიანი ცხოვრობს „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლს ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე. სწორედ ამ ხალხის სამართავადაა შექმნილი სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული სტრუქტურები, შემოღებულია მარეგულირებელი წესები, ფულის ერთეული, მართვის სისტემა.

„ისლამური სახელმწიფო“ იზიდავს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, სწავლულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ მებრძოლთა ფიზიკურ და, რაც მთავარია, სულიერ წრთობას.

უწმინდურებასთან ბრძოლაა „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია. უწმინდურები კი ქრისტიანები, შიიტები, ალავიტები, იუდეველები, სხვა რელიგიის წარმომადგენლები არიან, ზოგ შემთხვევაში დაუმორჩილებელი სუნიტებიც. **„ისლამური სახელმწიფოს“ უმთავრესი მიზანი, დიდი სახალიფოს შექმნაა — გიბრალტარიდან ჩინეთის კედლამდე. ამ ერთობ ამბიციურ გეგმაში კავკასია და კერძოდ საქართველოც მოიაზრება.**

სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ექსტრემისტული ისლამისთვის საქართველოს ტერიტორია ნაცადი ადგილია და ისეთივე „მშობლიური“, როგორიც „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქი რაქა (სირიის ტერიტორია).

საქართველო რა ხანია მჭიდროდაა დაკავშირებული ექსტრემისტულ ისლამთან. გავიხსენოთ პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი, მისი კავშირები ჩეჩნეთის ლიდერებთან — დუდაევთან, მასხადოვთან, მოგვიანებით გელაევთან; ჩეჩენი ლტოლვილებისთვის პანკისის კარის ფართოდ გაღება და ჩეჩენი ბავშვების, ქალების, მოხუცების შემოსვლასთან ერთად „ბოევიკების“ შემოდინება. და არა მარტო ჩეჩენი, არამედ არაბი, სხვადასხვა ქვეყნის ჯიჰადისტებით ქვეყნის გავსება.

საქართველო იყო სატრანზიტო გზა ჩრდილო კავკასიაში საბრძოლველად მიმავალი ათასი ჯურის და იქიდან საქართველოში „დასასვენებლად“ ჩამოსული „ბოევიკებისთვის“. პანკისში შესვლა ისე იყო გაძნელებული ნებისმიერი სახელმწიფო მოხელისთვის, როგორც მასონთა თათბირზე დასწრება. და ეს ყველაფერი აშშ-ის, დასავლეთის სხვა ქვეყნების საელჩოების „მახვილი თვალის“ კონტროლით ხდებოდა. მხოლოდ ერთხელ „გაიღვიძეს“ ამერიკელმა დიპლომატებმა ელჩ მაილსის სახით, რომელსაც მოჰყვა სამთავრობო ოპერაცია და პანკისის „გაწმენდა“, მაგრამ ეს იყო და ეს.

**სააკაშვილის ხელისუფლებამ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ექსტრემისტული ისლამის წარმომადგენლებთან, როგორც ადგილობრივებთან, ისე უცხოელებთან, რის შესახებაც წერს თავის წიგნში ამერიკელი ექსპერტი ჯეიმს ჯატრასი. ტერორისტებთან ურთიერთობას კურატორობას უწევდა შს მინისტრის მოადგილე ლორთქიფანიძე, რომელიც ამჟამად სააკაშვილთან ერთად იმყოფება ოდესაში. იმჟამად არაერთ შეხვედრას ჰქონდა ადგილი თბილისში, რაშიც მონაწილეობას „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლებიც იღებდნენ.**

სააკაშვილი ოდესაშია, მაგრამ ხარბი თვალით უმზერს საქართველოს და დასაბრუნებლად ხან რას გეგმავს და ხან რას, მათ შორის „ბოევიკების“ გამოყენებას. ვისაც კარგად აქვს წაკითხული პრესაში გამოქვეყნებული სააკაშვილ-მაკკეინის (აშშ-ის სენატორის) სატელეფონო საუბრები — იოლად მიხვდება რა „შავბნელს“ უმზადებს „ნაცთა“ ლიდერი საქართველოს, „ბოევიკთა“ გამოყენებით და არა მარტო საქართველოს, რუსეთსაც. ასე რომ, საქართველოს და მის ხელისუფლებას უდავოდ დიდი დაფიქრება და, რაც მთავარია, ქმედითი ზომების მიღება სჭირდება.

აღნიშნულის შემხედვარეს უნდა გაჭირვებოდა ისეთი განცხადების გაკეთება, როგორიც პარლამენტარმა გუგული მაღრაძემ გააკეთა — დაახლოებით ასეთი შინაარსისა — **ტერორი დიდ ქვეყნებს ემუქრება და არა ისეთ პატარას (ალბათ უნდა ეთქვა უსუსურსა და არაფრისმქმნელს), როგორიც საქართველოა, მაგრამ გააკეთა, ვინაიდან „ფერადი“ სათვალეებით უმზერს მეგობარი გიულის შვილის სამომავლო გეგმებს.**

შეძლებს საქართველო ტერორისტებისგან თავის დაცვას? ალბათ, არ ღირდა ისეთი კითხვის დასმა, წინასწარ გამზადებული პასუხიც რომ არის. საფრანგეთმა ვერ შეძლო და საქართველო შეძლებს?! როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი აცხადებს, რომ მარტო საფრანგეთი რუსეთის, აშშ-ის დახმარების გარეშე ვერ შეძლებს ტერორიზმთან გამკვლავებას და ვაშინგტონ-მოსკოვს „უკაკუნებს“, სუსტი, ჩამოუყალიბებელი საქართველო რას გახდება?

**„დასავლეთი ყველანაირად დაგვეხმარება, თუკი საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება შეიმჩნევა“,** — აცხადებს ექსპერტი ვახტანგ მაისაია და მას სჯერა თავისი ნათქვამისა, თუმცა ბევრი კითხვის ნიშანი ისმება „დასავლეთის“ ხსენებისას.

ორ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთმა სტრატეგიული საინფორმაციო საშუალებები აშშ-ის სპეცსამსახურებს გადააბარა. შედეგი? — სავალალო. საფრანგეთის ხელისუფლებას არავითარი ინფორმაცია არ მიუღია პარტნიორისგან მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ. რაც მიიღო, ერაყიდან იყო, რომელიც პარიზმა არაფრად ჩათვალა. საქართველოსთან მიმართებაში აშშ-ის სპეცსამსახურების მიდგომა რომ უფრო უყურადღებო იქნება, დაუჯერებელია?!

გარდა ამისა, აშშ-ის დამოკიდებულება „ისლამური სახელმწიფოსადმი“ ისეთია (ყოველ შემთხვევაში პარიზის ტერორისტულ აქტამდე), როგორიც მამისა შვილის მიმართ. აშშ-ის „მზრუნველი ხელის“ შედეგია „ისლამური სახელმწიფო“ — ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ჰეგემონიის გასაძლიერებლად და სხვათა, მათ შორის რუსეთის დასასუსტებლად შექმნილი. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული მუხტი, მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, ისეთივე ძალისაა, როგორიც „ფერადი“ რევოლუციები, აღმოსავლეთის პარტნიორობა, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და სხვა.

ცხადია, ტერორიზმი ან ნებისმიერი ზემოთ მოყვანილი და უკვე განხორციელებული მაგალითები რუსეთს უცებ ვერ დაანგრევს, მაგრამ ეკონომიკურად დაასუსტებს. სირიის ტერიტორიის დაბომბვაში რუსეთი დღე-ღამეში 5 მილიონ დოლარს ხარჯავს (რუსული ტელეარხ„ლაიფნიუსის“ მიხედვით). არანაკლები ფული იხარჯება ნატოს გაფართოების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმაში, მტრადქცეული უკრაინის საზღვრების (რუსეთის მხრიდან) გამაგრებაში და ა.შ. რუსეთი იძულებულია შეამციროს სოციალური ხარჯები, აგრეთვე სხვაც და ეს თანხები გადაისროლოს ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად.

ტერორიზმი ისეთივე იარაღია აშშ-ის ხელში, როგორიც ეკონომიკური სანქციები ან თუნდაც ანტისარაკეტო სისტემა — ევროპაში განლაგებული, ოღონდ უფრო მკვეთრი და ბარბაროსული.

**დავუბრუნდეთ საქართველოს და მას სააკაშვილ-მაკკეინის პრიზმიდან შევხედოთ. როგორც ერთი, ისე მეორე ოცნებობს საქართველოს ხელისუფლებაში „ნაცების“ დაბრუნებას. რა გზით შეიძლება მიზნის მიღწევა? როდესაც არჩევნების გზით გამორიცხულია, რჩება ბუნტი, ანუ ხელისუფლებაზე უკმაყოფილო ხალხის აჯანყება და ამ ჯანყში „ბოევიკთა“ გამოყენება.**

**ასე რომ, აშშ-ის მხრიდან დახმარება საეჭვოდ მოჩანს. ვისაც ნამდვილი დახმარების გაწევა ძალუძს — რუსეთი და ირანია. ისინი ნამდვილად და არა ყასიდად ებრძვიან ტერორიზმს, „ისლამურ სახელმწიფოს“. ორივე მათგანი უდავოდ გაგვიწევს დახმარებას, ვინაიდან ორივე მათგანის სურვილია ამიერკავკასიის სიმშვიდე, რაც მათი სიმშვიდის გარანტიაა.**

საქართველოს ხელისუფლებას მართებს ფსევდოპატრიოტული ლოზუნგების გვერდზე გადადება და რუსეთთან სტრატეგიული, ანტიტერორისტული ურთიერთობების ჩამოყალიბება. თუ საფრანგეთი, ნატოს წევრი ქვეყანა, ცდილობს ამას, ჩვენ რა გვიდგას წინ — ნატოს არაწევრ ქვეყანას, ევროკავშირთან მხოლოდ ასოცირებაში მყოფს და არა წევრს?



დავადგეთ „რეალპოლიტიკის“ გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში განსაცდელი არ აგვცდება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ◉ ალიან-ჩალიანი

## დავით ბორჩაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

**ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის დაკავებულ დავით ბორჩაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი არევაძემ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მიიღო. როგორც ადვოკატებმა განაცხადეს, მოსამართლემ სრულად გაითვალისწინა პროკურორების შუამდგომლობა და დაეყრდნო საფუძველს, რომ არსებობდა დავით ბორჩაშვილის მიმალვის საფრთხე, ასევე მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელისშეშლის საფრთხე.**

**დავით ბორჩაშვილის სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით ბრალი აქვს წარდგენილი, რაც ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას და მის საქმიანობაში მონაწილეობას ითვალისწინებს.**

**წინასასამართლო სხდომა 13 იანვარს დაინიშნა, საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს.**

**29 წლის დავით ბორჩაშვილი ორი დღის წინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტიული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს. მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ედება, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დავით ბორჩაშვილს 10-დან 18 წლამდე პატიმრობა ემუქრება.**

**ინტერპრესი**

ალიან-ჩალიანი

# „ნაციონალები“ პენსიონერებს ბრმა იარაღად იყენებენ

**პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის შეფასებით, ნაციონალური მოძრაობა პენსიონერებს ბრმა იარაღად იყენებს.**

**დიმიტრი ხუნდაძე პენსიის 50 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით „ნაციონალების“ ინიციატივას განცხადებით ეხმაურება და მიიჩნევს, რომ აღნიშნული „წინასაარჩევნოდ ქულების დაწერის“ მიზანს ემსახურება.**



**„ბოლო პერიოდში ნაციონალური მოძრაობის ქმედება პენსიონერთა მიმართ ყოველგვარ ზღვარს გასცდა. ხანდაზმული პირები გამოიყვანო და პეტიციაზე ხელის მოსაწერად რიგში ჩააყენო მხოლოდ იმიტომ, რომ წინასაარჩევნოდ ქულები ჩაიწერო, არანაირ ზნეობრივ და მორალურ ჩარჩოში არ ზის. ყველამ კარგად ვიცით, რომ ამომრჩეველთა ყველაზე დიდი პროცენტი პენსიონრებზე მოდის და სწორედ ამიტომ, „ნაცმოძრაობის“ სამიზნეც ეს სეგმენტია. მესმის, მათ იმდენად უჭირთ, რომ ყველანაირ ხერხს იყენებენ, მაგრამ არსებობს დაუწერელი წესები, რასაც არ უნდა გადააბიჯო“, — მიიჩნევს ხუნდაძე.**

**დეპუტატის თქმით, პენსიის 50 ლარით გაზრდა არა მარტო შეუძლებელი, დაუშვებელია ჩვენი ქვეყნისთვის. „ყოველდღე, საინფორმაციო საშუალებებში ვუყურებთ კადრებს, სადაც ისედაც ყოფითი ცხოვრებით დაღლილი მოხუცები დგანან და იმედით აწერენ ხელს პენსიის 50 ლარით გაზრდის თაობაზე მოთხოვნას, რაც „ნაცმოძრაობის“ თითოეულმა წევრმა იცის, რომ არა მარტო შეუძლებელი, არამედ დაუშვებელია ჩვენი ქვეყნისთვის.**

**არაერთხელ განმიცხადებია, რომ საქართველოში ერის დაბერება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რაც ძალიან გვახარებს. საგრძნობლად არის შემცირებული მოკვდაობა სწორედ ხანდაზმულებში, რაც ჩვენი ხელისუფლების სწორი ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის შედეგია. მიმდინარე ორი-სამი წლის მანძილზე გაიზარდა პენსიონერთა რაოდენობა, მათი რაოდენობა მომდევნო წლების მანძილზე კიდევ უფრო იზრდება. ეს გამოწვეულია მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში შობადობის ყველაზე დიდი მაჩვენებლით. სწორედ ეს თაობა ხდება დღეს და მომდევნო 10-15 წლის მანძილზე საპენსიო ასაკის.**

**შეუძლებელია ეს მონაცემები არ ჰქონდეთ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს და არ იცოდნენ, რომ ამ ფონზე პენსიების 50-ლარიანი მატება დაუშვებელია ქვეყნის ბიუჯეტისთვის. საჭიროა სწორი საპენსიო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმის გატარება, რაც ყოფილ ხელისუფლებას პირველივე დღეებიდანვე უნდა დაეწყო. სამწუხაროდ, საპენსიო რეფორმის დაწყება ჩვენს პერიოდშიც ჭიანურდება. პენსიონერთა რაოდენობის ასეთმა ზრდამ, რაც ჩვენთვის პოზიტიური და სასიხარულოა, შესაძლოა, ქვეყნის ბიუჯეტისთვის ნეგატიური გავლენა იქონიოს, თუ საპენსიო რეფორმა დროულად არ დავიწყეთ“, — აღნიშნავს დეპუტატი.**

**დიმიტრი ხუნდაძე ნაციონალურ მოძრაობას მოუწოდებს, ნუ გამოიყენებენ პენსიონრებს ბრმა იარაღად საკუთარი საარჩევნო მიზნებისთვის.**

**ინტერპრესი**

# ქვეყნის ძირგამომთხრელნი

## „ევროპაში დილის 4-5 საათზე კანდელაკის გაგზავნილი მაილები მეტაფორა გახდა - ხალხი უკვე კომპიუტერს აღარ ეკარება“

**საქართველოს ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობაში ადანაშაულებს და ევროპაში მათ მიერ გაგზავნილ მესიჯებს ასაჯაროვებს. უმცირესობა მმართველ გუნდს მოუწოდებს საკუთარ ქმედებებს ოპოზიციას ნუ გადააბრალებს და თავს ტრაგიკომიკურ ვითარებაში ნუ ჩაიყენებს.**

**ქვეყნის საგარეო ფრონტზე მიმდინარე პროცესების თაობაზე პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე გვესაუბრება:**

**— პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი ევროპელებს სთხოვენ, საქართველოს ვიზალიბერალიზაცია არ მისცენ. მსგავსი ინფორმაცია თქვენც გაქვთ?**

— პრემიერ-მინისტრს გაცილებით უფრო მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე მე, მაგრამ ჩემთან არაოფიციალური, პიროვნული საუბრების დროს, ევროპელი კოლეგების მხრიდან არაერთხელ ყოფილა მინიშნება, რომ ამგვარ ფაქტებს ადგილი აქვს. ისინი ამბობენ, ნაციონალური მოძრაობის ემისრები ჩამოდიან და ამ საუბრების დროს, ზოგი პირდაპირ, ზოგი მინიშ-



ნებით თუ მეტაფორებით ამ თემაზე საუბრობს და ვიზალიბერალიზაციის მიცემა-არმიცემას ოპოზიციასთან დამოკიდებულებას უკავშირებენო. ეს ყველაფერი ჩვენი პარტნიორებისგან ბევრჯერ მომისმენია და ეს არც ჩემთვის იყო სასიამოვნო და ამით ევროპელი პოლიტიკოსებიც ძალიან გაკვირვებულები არიან.

**— ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ევროპელ პოლიტიკოსებს საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის არმიცემას რატომ სთხოვენ? მათ რა მიზანი აქვთ?**

— აქ შეიძლება, პირადი, ჯგუფური, კლანური, პარტიული და ძალაუფლებასთან დაკავშირებული ინტერესები იყოს. ყველაზე ვერ ვიტყვი, რომ ამას აკეთებენ, მაგრამ როგორც ჩანს, ვინც ამას აკეთებს, ფიქრობს, რომ ამგვარი მარცხი ხელისუფლების ცვლილებას გამოიწვევს. მათ თავიანთი „რეალობა“ აქვთ, რომელსაც მიჰყვებიან და თვლიან, რომ ევროპელების მისამართით მათი ამგვარი მესიჯი მათ პოზიციებს გაამყარებს.

**— ევროპელების განწყობა როგორია?**

— ერთმანეთში რას საუბრობენ და ამ გზავნილებს როგორ აფასებენ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ თუკი ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ შედეგს გავითვალისწინებთ, ევროპელ პოლიტიკოსთა ნაწილი ამ მესიჯებს სკეპტიკურად უყურებს, ზოგი ირონიით. თავად შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ამ გზავნილებს ყურადღებას არ აქცევენ.

**— ანუ საფრთხე არ არსებობს იმის, რომ ნაციონალების ძალისხმევის შედეგად, ქვეყანამ უვიზო მიმოსვლა ვერ მიიღოს?**

— ვერ გეტყვით, რომ ყველა ნაციონალი ამ საქმითაა დაკავებული. საერთაშორისო ფორუმებზე, ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი მინახავს, რომელიც ქვეყნის მხარდამჭერი განცხადებებით გამოდის. მათ შორის, ისეთი ოპოზიციონერებიც არიან, რომლებიც ქუთაისში, პლენარულ სხდომებზე სიხისტითა და სიმძაფრით გამოირჩევიან. სამწუხაროდ, ისეთებიც არიან, რომლებიც თვლიან, რომ შესაძლოა, მათ ამ მეთოდებით შეუძლიათ რაღაც წარმატებას მიაღწიონ. ეჭვი მეპარება, რომ ეს ყველაფერი შიდა პოლიტიკისთვის რაღაცის მომტანი იქნება, მაგრამ გარეთ მათი რეპუტაცია ილახება და არ მინდა, ამაზე ვიზრუნო და ვიფიქრო. მათი ქმედებები საქართველოს პოლიტიკურ კლასს ეხება, სადაც შედის უმრავლესობაც და ოპოზიციაც. ამ ნაბიჯებით რეპუტაცია ილახება და ჩვენ არასერიოზულ პოლიტიკურ მოთამაშეებად აღგვიქვამენ.



**— საერთაშორისო ტრიბუნებზე, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ნაციონალების კამათი და დაპირისპირება არაერთხელ გვინახავს. უცხოელები ამ ყველაფერს როგორ აღიქვამენ?**

— მათთვის ეს ყველაფერი გაუგებარია. ეს ყველაფერი რატომ და როგორ ხდება, ამას თავისი ტექნოლოგიები აქვს. სტრასბურგში, დარბაზში, რომელიმე ჯგუფთან ჩვენი პატივცემული ოპოზიციონერი მიდის, ელაპარაკება, შემდეგ დაწერილ ქაღალდს გადასცემს, ის წამოხტება და რაღაც განცხადებას აკეთებს. ამ ყველაფერზე ჩვენი რეაგირება ხდება. დარბაზებში 500-ზე მეტი საპარლამენტო ასამბლეის წევრი ზის და მათგან შეიძლება, საქართველოს შესახებ ნიუანსები ათმა ადამიანმა იცოდეს, დანარჩენებმა კი საერთოდ არ იციან, რა ხდება. დარბაზში ოპოზიციონერები გამოდიან ხოლმე, შემდეგ მათ ჩვენ ვპასუხობთ, ერთი-ორი ევროპელი წამოხტება ოპოზიციას დაიცავს, ხოლო დანარჩენები ამ პროცესებს პირდაღებულები უყურებენ. ისინი ვერ იგებენ, რა ხდება. საქართველოდან ერთი დელეგაცია მიდის და თუკი ჩვენი ორიენტაცია დასავლეთია, მათი პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატია, რომ კრიტიკა გარეთ არ ხდება. ჩვენთან ყველაფერი პირიქით ხდება. კრიტიკა, დებატები და დისკუსია ქვეყნების შიგნით — პარლამენტებში ხდება, ჩვენ კი, ეს ყველაფერი გარეთ გაგვაქვს და ყვირილი — აურზაური იწყება. სტრასბურგზე რომ ვისაუბროთ, იქ საქართველოს ტელევიზიების გარდა, არავინ არის. ამით გამორჩეულები მხოლოდ ჩვენ ვართ და ეს ყველაფერი გათვლილია შიდა აუდიტორიაზე, რომ იქ რაღაც ხდება.

**— იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ ბაქრაძე-კანდელაკი ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან. ეს ადამიანები ამ საქმიანობაში შემჩნეულნი არიან?**

— ამ საქმით დაკავებული არც კანდელაკი მინახავს და, მით უმეტეს, არც ბაქრაძე, მაგრამ ევროპაში დილის 4-5 საათზე კანდელაკის გაგზავნილი მაილები მეტაფორა გახდა. უკვე ხალხი კომპიუტერს არ ეკარება, რადგან უაზრო რაღაცები მისდით. კანდელაკი წერს, თითქოს, საქართველო ინგრევა, ქვეყანა სტალინის ძეგლებითაა გავსებული და თითქოს, ყოველდღე აპოკალიფსი ხდება.

**— კანდელაკის თაობაზე მითი რეალობაა, რომ ის ევროპელ პოლიტიკოსებს მაილებით აწიოკებს?**

— ბევრი ევროპელი კოლეგისგან მომისმენია, რომ კომპიუტერს ვერ ვეკარებით, რადგან ვიცით, დილით კანდელაკისგან კომპიუტერი ავსებულია — ეს მოხდა, ის მოხდა, თოფაძემ ეს თქვა, ჯაფარიძემ რაღაც ჩაიდინაო.

**— ევროპაში კანდელაკის სიტყვას ენდობიან?**

— ხომ იცით ანდაზა — „მგელი მოდისო“? მას უფლება აქვს, მაილები აგზავნოს. ეს მათი პრობლემაა.

**— რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციის პროცესს, 15 დეკემბერს საბოლოო დასკვნა უნდა გამოქვეყნდეს, რომლის შემდეგ ჯერი პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე დადგება. რა პერსპექტივა აქვს ქვეყანას?**

— ამ პროცესს ოპტიმისტურად ვუყურებ. გრძელვადიანი პროცესის დასაწყისი ვიზალიბერალიზაცია იქნება. თარიღებით საუბარი არ მიყვარს. ეს არის პროცესი და ევროპის მხრიდან საქართველო აღიარებულია, როგორც ყველაზე წარმატებული ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის. ევროპელების ნაბიჯს ველოდებით არა როგორც საბოლოო წერტილს, არამედ რაღაც ეტაპს გრძელ გზაზე ევროკავშირში საბოლოო ინტეგრაციისთვის. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული — რამდენად ადეკვატურები ვიქნებით და ჩვენი საქმიანობა რამდენად ნაყოფიერი იქნება.

ასოცირების ხელშეკრულების რეალიზაციის პროცესი თავისი სირთულითა და სიმძიმით საქართველოს მოქალაქეებზე გადავა და ეს იქნება ქვეყნის მიღწევა და არა პრეზიდენტის და პრემიერის. ამ რეალიზაციაში ყველაზე აქტიური როლი მოქალაქეებს ეკისრებათ. სამოქალაქო საზოგადოებას ამ პროცესებზე განუზომელი გავლენა ექნება.

**— უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით, ევროპის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენას საქართველოში მიმდინარე შიდა პროცესები მოახდენს, ვინაიდან, ნაციონალები „რუსთავი-2“-ის და პოლიტპატიმრების თემაზე აპელირებენ?**

— ყველაფერს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, შეცდომები არ უნდა დავუშვათ, პრობლემა იქ არ უნდა შევქმნათ, სადაც არ არსებობს და არსებული ხარვეზები უნდა მოვაგვაროთ, რათა ეს მეტად რთული გზა გავიაროთ. კრიტიკა გაღიზიანებს, მაგრამ ამას მეორე მხრიდან უნდა შევხედოთ. ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ სხვა ლიგაში გადავდივართ, ჩვენს მიმართ ყურადღება დიდია, ევროპულ სტანდარტებს დავუახლოვდით და ევროპელების შეფასებები რაც უნდა გამაღიზიანებელი იყოს, ამას ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ევროპაში შევდივართ და ევროპელებს თავიანთი კრიტერიუმები აქვთ.

**თეონა მანაგაძე**



# „ოღონდ ხალხი იყოს ცუდად, ოღონდ ამ მთავრობას რამე წარმატება არ მიეწეროს“

**ვიზალიბერალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით, ხელისუფლების და ექსპერტთა გარკვეული ნაწილის იმედი ძალიან დიდია. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ვიზების ლიბერალიზაციისთვის სამოქმედო გეგმის სრულად შესრულება-შეფასება წლის ბოლომდე მოხერხდება, რიგის სამიტისთვის კი გეგმის დიდი ნაწილის პოზიტიურად შეფასებას ელოდებიან. ნაციონალური მოძრაობა ეჭვის თვალით უყურებს მთავრობის ამ მოლოდინს და პროცესების გადავადებას ქვეყნის შიგნით, მთავრობის არასწორ და არადემოკრატიულ ქმედებებს უკავშირებს.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა ხელს უშლის ვიზალიბერალიზაციის პროცესის დამთავრებას. კერძოდ, დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი ევროკავშირისგან ითხოვენ, რომ საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა არ მიიღოს.

სხვათა შორის, აღნიშნული ინფორმაცია ათიოდე დღის წინათ, for.ge-ს ერთ-ერთმა გავლენიანმა ექსპერტმა მიაწოდა რაც საიტზე გამოქვეყნდა. (http://www.for.ge/view.php?for_id=42945&cat=2)

ჩვენი წყარო ყვებოდა: **„ქართული მხარის იმედები შესაძლოა, უპერსპექტივო აღმოჩნდეს. for.ge-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების გიგა ბოკერიას და გიორგი კანდელაკის ესპანეთში გამართული შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ვიზალიბერალიზაციის საკითხს შეეხებოდა. for.ge-ს ინფორმაციით, უცხოელ კოლეგებთან მათი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ამ წელს არ დაკმაყოფილებულიყო ვიზალიბერალიზაციის საკითხი. ნაცმოძრაობის ლიდერებმა არგუმენტად ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობა და თავისუფალ მედიაზე ზეწოლა დაასახელეს. ამავე წყაროს ინფორმაციით, ესპანეთიდან საქართველოსკენ მომავალი გიგა ბოკერია სტამბოლში ოდესის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა“.**

იგივე ინფორმაცია დღეს უკვე პრემიერმაც დაადასტურა: **„მათ უთქვამთ, რომ ამ მთავრობის პირობებში არ არის სასურველი და აუცილებელი საქართველომ უვიზო მიმოსვლა მიიღოს. ამას რა უნდა დავარქვათ, თუ არა მტრობა ჩვენი ხალხის და ქვეყნის“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა დღევანდელი მთავრობის სხდომაზე.

For.ge შეეცადა გიორგი კანდელაკთან დაკავშირებას, თუმცა საქართველოს პარლამენტის წევრი, რომელიც ევროსაბჭოს დეპუტატებთან, სოციალურ ქსელებში ხშირ პირად მიმოწერაშია შემჩნეული, ჩვენს შეკითხვებზე მხოლოდ წერილობითი პასუხის გაცემას დაგვპირდა და პრესსამსახურის წარმომადგენელ გიორგი პატარაიასთან გადაგვამისამართა.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს **დავით დარჩიაშვილს,** მან პრემიერ-მინისტრის განცხადებას საბჭოთა სტილის დეზინფორმაციის ნიმუში უწოდა და აღნიშნა, ეს არის დამახასიათებელი ღარიბაშვილის, ქალბატონ წულუკიანის და ბიძინა ივანიშვილის აზროვნებისთვის.

**„საუბარია იმაზეა, რომ სტრატეგიულ პარტნიორებთან, საერთაშორისო მეგობრობასთან, ისე ქვეყნის შიგნით, რა თქმა უნდა, ხდება გარჩევები იმ პროცესებისა, რაც ქვეყანაშია. პირველ რიგში, ეს მედიაპლურალიზმის მიმართ გაჩენილ საფრთხეს ეხება და ამაზე იყო სერიოზული შეშფოთება გამოხატული ძალიან ბევრი საერთაშორისო წრიდან და სწორედ ეს უქმნის პრობლემას ქვეყანას, მათ შორის ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებითაც “,** — აცხადებს დარჩიაშვილი **for.ge**-სთან საუბარში.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის სავიზო ლიბერალიზაციის სურვილის ქონას თუ არქონას, საქართველოს პარლამენტის წევრი საქართველოს მოსახლეობას 2010 წელს ახსენებს და ამბობს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით საუბარი სწორედ წინა ხელისუფლების პირობებში მოხდა.

**„ჩვენი პოზიცია ყოველთვის იყო და არის შემდეგი — ეს ქვეყანას სჭირდება და არა ღარიბაშვილს და ქვეყნის მოქალაქეებს. მან თავისი თავი ქვეყანასთან გააიგივა, თავისი და თავისი კოლეგების კრიტიკა ქვეყნის კრიტიკად აღიქვა. ღარიბაშვილს არ ესმის საერთაშორისო ურთიერთობები, მაგრამ წულუკიანმა და სხვებმა ხომ შესანიშნავად იციან, კრიტიკის რა კორიანტელი ჰქონდათ ევროპის დედაქალაქებში ატეხილი ჩვენი ხელისუფლების მიმართ? ვინმე მათ მოღალატეს ეძახდა?“,** — აღნიშნავს დარჩიაშვილი და აცხადებს, რომ ღარიბაშვილის განცხადება საბჭოთა აზროვნების სტილის ნიმუშია.

ჩვენს შეკითხვაზე, რეალურად ეწინააღმდეგებიან თუ არა კანდელაკი და ბაქრაძე ევროსაბჭოში ვიზალიბერალიზაციის მიღებას, „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის **გუგული მაღრაძის** განცხადებით, ის ენდობა ღარიბაშვილის განცხადებას, რადგან დაუმტკიცებელი საბუთების გარეშე, არავინ არაფერს იტყვის. გარდა ამისა, მაღარაძის თქმით, ისინი მოწმე არიან იმის,რომ არც ერთხელ, არც ოფიციალურ, არც არაოფიციალურ შეხვედრებზე, ნაციონალური მოძრაობის წევრებს არ უთქვამთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ასრულებს, მაშინ, როცა ევროკავშირის სტრუქტურები, ვინც ამ პროცესს ყურადღებით ადევნებს თვალყურს, სრულიად სხვა რამეს ადასტურებენ.

**„როდესაც არაფერ დადებით შეფასებას არ აკეთებენ, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ჩვენი ქვეყნის წარმატებები ევროსტრუქტურებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, გულზე არ ეხატებათ. ძალიან ხშირად ხდება ისიც, რომ, როდესაც საერთაშორისო ტრიბუნაზე მსჯელობა მიდის სრულიად სხვა საკითხებზე, ნაციონალური მოძრაობის წევრები იწყებენ არარელევანტურ საკითხებზე საუბარს. მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმის გამოუძიებლობაზე და აცხადებენ, რომ ეს არის მედიამფლობელობის გაუმჭვირვალობის პროცესი. არის შემთხვევებიც, როდესაც სრულიად სხვა საკითხზე მიდის მსჯელობა და ისინი ბიძინა ივანიშვილის ფარულ მმართველობაზე იწყებენ საუბარს, „რუსთავი-2“-ზე საუბარი აღარ მაქვს.**

**ისინი მიზანმიმართულად აკეთებენ ამას და ცდილობენ, ევროპაში წარმოაჩინონ, რომ საქართველოში პრობლემებია და არავინ არაფერს აკეთებს. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ევროსაბჭოს დებატებზე საქართველოში მდგომარეობის გაუარესების საკითხი განხილულიყო, თუმცა მათ ევროსაბჭოს ბიურომ რამდენჯერმე უარი უთხრა“,** — აცხადებს დეპუტატი.

გუგული მაღრაძის განცხადებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როცა ვიზალიბერალიზაციის პროცესი დასრულდება, საქართველო ევროსტრუქტურებში გაწევრიანდება, ეს ისევე წაადგება ნაციონალურ მოძრაობას, მათ შვილებს, როგორც ჩვენ ყველა დანარჩენს, მაგრამ მათ ურჩევნიათ, ქართველი ხალხი იყოს ცუდად, ოღონდ ამ მთავრობას არ მიეწეროს რამე წარმატება.

**„ნაციონალების აზრით, არაფერი კარგი ამ ხელისუფლების ხელში არ უნდა მოხდეს. მათ თუკი საქართველო ენაღვლებათ, მაშინ ასეთ მცდელობები უცხოელებთან არ უნდა ხდებოდეს. არაკონსტრუქციულია ქვეყნისთვის, რომელსაც საკმაოდ მაღალი შეფასება აქვს ევროპის ასოცირებასთან და ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით, მისი ხელისუფლების ნაწილის საერთაშორისო ტრიბუნიდან ევროპას მცდარ ინფორმაციას აწვდი. საერთაშორისო შეფასებები კი ამბობს, რომ საქართველოში ბევრი რამ გაუმჯობესებულია. ამას მოგერენის და სხვების განცხადებებიც მოწმობს.**

**მაგრამ ნაციონალური მოძრაობა გაბოროტებულია, რომ განუსაზღვრელი პრივილეგია და გაუმჭვირვალე ფინანსები დაკარგა და ყველაფერზე მიდის, ეს არის მათი საწუხარი“,** — აცხადებს მაღრაძე.

**ეკა ბუჩუკური**

ავი მუსაიფი

# აბა, ერთი ლგბტ-პედერასტები შიმშილობდნენ...

(მესამე გვერდიდან) მაგალითად იმას, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში ნეგატიური რამ ხდებოდა და ხდება, დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) ორმაგი სტანდარტების, უფრო მძაფრად კი, მათი უნამუსო პოლიტიკის შედეგად!

იმავე იარლიყებიდან გამომდინარე სიფრთხილის გამო აქვთ სწორება მხოლოდ დასავლეთზე (ყოველ შემთხვევაში დეკლარირებულად), რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ახლა მიმდინარე საპროტესტო შიმშილობაზე რას იფიქრებს დასავლეთი, აქედან გამომდინარე წარმართავენ სკუთარ ქმედებებს.

**ანუ, მხოლოდ ბრიუსელსა და ვაშინგტონში ეძებენ პოლიტიკურ ბრძოლაში მოკავშირეებს, რაც, ჩემი აზრით, რბილად რომ ვთქვათ, სადავოა, რადგან ამა წლის 30 სექტემბრიდან, როდესაც რუსეთმა ისლამური ხალიფატის დაბომბვა ისე დაიწყო, რომ ამერიკისგან ნებართვა არ აუღია, მსოფლიო აღარ არის ერთპოლუსიანი და უფრო მეტიც, გეოპოლიტიკაში თამაშის ახალ წესებს უკვე რუსეთი კარნახობს დანარჩენ მსოფლიოს საკუთარი სამხედრო ძლიერების ხაზგასმული დემონსტრირებით!**

თუმცა ამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ჯერ ერთი რუსეთს დღეს საქართველოსთვის სწორედ სირიის გამო არ სცალია და მეორე, რომც ეცალოს, იქნებ მაშინაც არ დაინტერესდეს ჩვენით, რადგან სააკაშვილის წყალობით რუსეთმა საქართველოსგან, რაც სჭირდებოდა, ყველაფერი მიიღო და თუ კიდევ დასჭირდება რამე, იმასაც ერთი წკიპურტის ძალისხმევით მიიღებს...

**აქედან გამომდინარე, იქნებ გამართლებულიც იყოს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის სიფრთხილე დასავლეთთან მიმართებაში, ანუ, რის უფლებასაც საკუთარ თავს ვაძლევ პუბლიცისტი დავით მხეიძე, იგივე უფლებას ვერ მისცემს საკუთარ თავს პოლიტიკოსი დავით თარხან-მოურავი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პოლიტიკაში ყველაფერს თავისი დრო აქვს და ის დრო იქნებ ჯერ მართლაც არ დამდგარა(?!).**

ერთი რამის კი ურყევად მჯერა — ის დრო ნამდვილად დადგა, რომ ხმამაღლა ვთქვათ:

მაშინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის და დღეს „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მოპოვებული ციხის კადრების გარეშე, ქართული ოცნება უმრავლესობით ვერ მოვიდოდა ხელისუფლებაში;

სხვათა შორის ეს ირმა ინაშვილმა უკვე პირში მიახალა პარლამენტში მოკალათებულ მეოცნებეებს გასულ შაბათს კანცელარიის წინ გამართული მიტინგიდან!..

საგარეჯოს არჩევნებსაც ორი მხარე აქვს და, აქედან გამომდინარე, ერთ კითხვას დავსვამ:

რა სჯობდა, მომხდარიყო სასწაული და ირმა ინაშვილი ეცნოთ გამარჯვებულად, თუ ის, რაც მოხდა, ანუ, დამარცხება, რომელიც გამარჯვებაა?

პირველ შემთხვევაში აუცილებლად დაიწყებდნენ სისინს, რომ პატრიოტთა ალიანსი ფარულად არის შეკრული ქართულ ოცნებასთან;

მეორეში, ანუ რაც რეალურად მოხდა, არჩევნებში დაფიქსირდა აქამდე უპრეცედენტო რამ...

**თუ ადრე ხელისუფლების კანდიდატი გამაფარჩაკებელი სხვაობით უგებდა ოპოზიციის კანდიდატს, საგარეჯოში იმდენად აშკარა იყო ირმა ინაშვილის უპირატესობა რესპუბლიკელ ბუდარიხასთან შედარებით, რომ მთელმა სახელისუფლებო მანქანამ, რომელიც ირმას წინააღმდეგ მოქმედებდა, მხოლოდ 3%-ანი სხვაობით მოაგებინა რესპუბლიკელების კანდიდატს(?!).**

ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდეოლოგიურ ჭიდილში, ოღონდ არა ნატოს მომხრე თუ მოწინააღმდეგეთა შორის (ჰო, აბა რაა, იორმუღანლოს აზერბეიჯანლები, რომელთა ხმებითაც გააყალბეს არჩევნები, სულ იმას ფიქრობენ, როდის შევა საქართველო ნატოში), როგორც ეს უნდათ წარმოგვიდგინონ რესპებმა, არამედ ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალებს, გნებავთ უტრირებულად, ერთსქესიანი ქორწინებების მომხრე-მოწინააღმდეგეთა შორის, ირმა ინაშვილმა ბეჭებზე გააკრა ბუდარიხა თამარ ხიდაშელი!

**აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისედაც პოლიტიკურ საფლავში მწოლიარე რესპებს, პატრიოტთა ალიანსმა მიწა მიაყარა და მომავალში ამ პარტიას ივანიშვილი კი არა, ილია ჭავჭავაძე რომ ადგეს საფლავიდან და მან იკისროს რესპების გაქაჩვა, ისიც ვერ უშველის ამ ნეოლიბერალ ხლისტებს და, პირიქით, ის კოალიციაც განწირულია მარცხისთვის, რომელშიც რესპუბლიკელები შევლენ და ცალკე ხომ ვეც გაბედავენ მარად 2%-ანი რესპები არჩევნებზე გასვლას...**



**დავით მხეიძე**


ოტია სარჩიმელია

# ჩემი მეგობარი ქართული ტრადიციების სადარაჯოზე

**უძმეებზე, ვაკეში, ჩემს უბანში გამოსულს ხშირად შემხვედრია აღნაგი, სიმპათიური მამაკაცი, „გალიფე“ შარვლით, ჩექმებით, მხრებზე ყაბალახით, ძველებური „კიტელით“ და წელზე იარაღით. მართლაც ძველი დროის ფილმებიდან გადმოსულ ვაჟკაცსა ჰგავს, რომლის ეროვნულ-ქართულ სულსა და ახოვანებას არა მარტო მისი ჩაცმულობა გადმოგვცემს, არამედ საუბარიცა და თუ დაუახლოვდები — ცხოვრების სტილი, განვლილი გზაც. ეს ჩემი მეზობელი, ძირძველი კოლხი, უგანათლებულესი ადამიანი ბატონი ოტია სარჩიმელია გახლავთ.**

დიდი, ქართული ოჯახის მამა, ბაბუა, მზრუნველი მეუღლე და საძმოში დაფასებული ადამიანი. გავიცანი და... გამიკვირდა — ისეთი სათნო, კეთილი, ტრადიციებსა და ოჯახის სიწმინდეზე თავგადაკლული ადამიანი, არა მარტო თავის არამედ სხვათა პატარებზე ზრუნვაში გატარებული ცხოვრების პატრონი პოლიციის პოლკოვნიკი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომ აღმოჩნდა და ამგვარი პროფესიის კაცი, რაგინდ უმწიკვლოდაც არ უნდა ემსახურო შენს საქმეს, ისეთ რთულ პერიოდში გამოვლილი, რომელსაც სამოქალაქო ომი, ძმათამკვლელი ომი, ყოველგვარ მოღალატეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გათენებული ღამეები ჰქვია, თავისებურ ზეგავლენას იქონიებს და მკაცრ, დაუნდობელ ბუნებას ჩამოგიყალიბებს, მაგრამ... ცოტა შორიდან დავიწყებ ჩემი მეგობრის ფაქიზ სულში „ხელის ფათურს“ და თქვენც ჩვენი გაზეთის მკითხველო, თავს უფლებას მივცემ, რამდენიმე შტრიხით დაგანახოთ ეს, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

კოლხეთში დაბადებული და გაზრდილი კაცისთვის, ისევე როგორც ყველა ქართველისთვის, უცხო არ არის მშობლიური კუთხის, მიწის სიყვარული. აკი თავადაც ხშირად უყვარს თქმა — ჩემი სოფელი, ცაიშის კახათი, ჩემი ოდაბადე, მსოფლიოს თავს ვერ მოაწონებს ზღაპრული ტყე-პარკებით, ჩანჩქერებითა და ბაღებით, მაგრამ ჩემთვის მსოფლიოში ულამაზესი და გამორჩეული ადგილიაო. სწორედ აქ დაიბადა კუთხეში ყველასათვის ცნობილი პედაგოგის ვარდიშა რაფავასა და როგორც კოლხები იტყვიან ჭკუის საკითხავი ბრძენი კაცის, განთქმული ვეტექიმის შალვა სარჩიმელიას ოჯახში. აქ ისწავლა პატარაობიდანვე სამშობლოსა და ოჯახის ერთგულება, ქალის დაფასება (სხვაგვარად ვაშინერს, თავად სამი დის — მარინას, ნანის და ტალინას პატრონს, ქალის პატივისცემა სხვისგან არ ესწავლებოდა), შრომით მიღებული დაფასება და მეგობართა ერთგულება, სწორედ იმ ხალხთა ამაგის დაფასება, ვინც თბილისში ჩამოსულ ყმაწვილ კაცს გვერდით დაუდგა, ცხოვრების რთული გზა გააკვლევინა და ბოლოს თავად გახადა სხვათა გზის გამკვლევი და სიკეთის მთესველი. ნიუტონს უთქვამს — მე თუ სხვებზე შორს ვხედავდი, მხოლოდ იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე ვიდექიო. სწორედ ამგვარი გიგანტები დახვდნენ ახალბედა, დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოსულ ბატონ ოტიას ბიძამისის ანტიფო რაფავას ოჯახში, სადაც თავდაპირველად დაბინავდა. როდესაც გავუმხილე, ბატონო ოტია თქვენზე, პატარა წერილის დაწერა მსურს, რათა დღევანდელ ახალგაზრდობას პატარა მაგალითი მაინც მიეცეს თქვენი ცხოვრებიდან, ხოლო თქვენმა ერთგულმა მეგობრებმა კიდევ ერთხელ გაიხარონ თქვენს შესახებ თბილი სიტყვების წაკითხვით-მეთქი, ჯერ დაიმორცხვა და ხელი ჩაიქნია, შემდეგ განუყრელი მეგრული კილოთი ჩაიბუბუნა, თუ დაწერ ეს ხალხი არ გამომიტოვოთ ვინც ცხოვრების გზას სანთელივით მინათებდნენო. ჰოდა, პირობასაც ვუსრულებ, ბიძამისის უერთგულესი ხალხი, ნიუტონის თქმისა არ იყოს, ვინც ცხოვრების ჰორიზონტის დანახვაში მხრებზე მყარად შეისვა სტუდენტობის პერიოდში— ბატონი ილია ვეკუა, დავით ჩხიკვიშვილი, ირაკლი ანთელავა, არჩილ ფარცხავა, გივი ჭანუყვაძე, შოთა მესხია, გივი ინწკირველი, მიშა ქურდაძე. მათი დამსახურებაა ის, რომ ახლა მომავალ თაობას თავად უდგას მყარად და მედგრად, რათა მხრებზე შეისვას და მათაც სხვებზე შორს დაანახვოს სიბრძნის ჰორიზონტი.

მანამ, სანამ სხვათა გზის გამკვალავი გახდებოდა, უამრავი თანამდებობა გამოიცვალა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტდამთავრებული სამი წელი პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი ამავე ინსტიტუტის რექტორის ბატონ გელა ბანძელაძის თანაშემწედ დაინიშნა. სწორედ აქ გაიცნო, შეიყვარა ინსტიტუტის კანცელარიის უფროსი ლამარა ღვანია და ორმოც წელზე მეტია ერთგულ ჭაპანს ეწევიან.


ცხოვრების მარადიულ თანამგზავრ ქალბატონ ლამარასთან ერთად

ქალბატონი ლამარა მართლაც კდემამოსილებით გამორჩეული პედაგოგია, რომელიც ათეული წლები თბილისის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მოღვაწეობდა. ენერგიულ და მზრუნველ პედაგოგს, ინტერნატის ხელმძღვანელს საკუთარი შვილებივით უყვარდა თავისი მოსწავლეები, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ საკუთარ ოჯახში ზრდიდა მათ, როდესაც ბევრს არდადეგებზე ოჯახში წასვლა არ შეეძლო. თავისი შვილების ლუკმას უყოფდა და ეს ამაგი უკვე ასაკში შესულ ყოფილ მოსწავლეებსაც ახსოვთ. ქალბატონი ლამარა მათთვის მეორე დედა იყო.

ეკონომისტის და იურისტის, და თანაც წარმატებული მუშაკის თანამდებობა ერთ დღესაც, დიდი ფიქრისა და ახლობელთა რჩევის შემდეგ 70-იანი წლების მიწურულს ძალოვან სტრუქტურებში თანამშრომლობაზე გაცვალა. 1977 წლის მაისიდან იწყება და... მინიმალურ დროში ზედიზედ ოთხი წახალისება ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან. იგი ხომ შრომითი კოლექტივის რეკომენდაციით მივიდა ძალოვან სტრუქტურაში და სწორედ სიალალით, ახლებური ხედვით, ნდობით მოიპოვა სახელი. უამრავი თანამდებობა მხოლოდ ენერგიული შრომითა და პროფესიონალიზმით იქნა მიღწეული — საპატრულო, ავტოინსპექცია, ОБХС-ის უფროსი, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი, სისხლის სამძებროსა და დაცვის პოლიციის უფროსი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, უძილო ღამეები, ტყვიების წვიმა. არასოდეს ეშინოდა რისკის, რადგან მართალი იყო და სიმართლეს ემსახურებოდა. კრიმინალური პოლიციის პოლკოვნიკი ოტია (ნუგზარ) სარჩიმელია ამჟამად „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ მუშაობს, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა, ენერგიული პატრიოტი ადამიანი ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი. ბატონმა ნიკოლოზმა იცის ერთგული, პროფესიონალი ადამიანის ფასი და ამიტომაც ენდობა ბატონ ოტიას.

დიდი ოჯახი ვახსენე და ამგვარი დაძაბული ცხოვრების რიტმში ყოველთვის ცდილობდა ოჯახისთვისაც შეძლებისდაგვარად დაეთმო ყურადღება. მისთვის, ხომ ოჯახი დიდი ციხესიმაგრეა, სადაც მისი კაცობისა და პატიოსნების დამცავი ადამიანები იზრდებიან. ქალიშვილი მიმი ბებიისა და დედის პროფესიას აგრძელებს, პედაგოგი გახლავთ, დამთავრებული აქვს ასპირანტურა კორექციული პედაგოგიკის განხრით. ცხოვრების გზა უშესანიშნავეს პიროვნებას ზვიად ქირიას დაუკავშირა და სამშობლოს ორ ვაჟკაცს მამუკასა და დავითს უზრდიან. ოტიას ვაჟი მამუკა მამის პროფესიას გაჰყვა — იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა, შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროში საპატრულო პოლიციაში საგამომძიებლოს უფროსად. ამჟამად აგრძელებს მუშაობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წამყვან პროფესორად, არის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, სასწავლო სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. ჰყავს მეუღლე ნანო ყუფუნია, რომელიც პროფესიით ექიმია და კლინიკის მენეჯერი გახლავთ. პატარა ლიზიკო და ნიკოლოზი მათი საზრუნავი და იმედი არიან.

* * *

**მოკლედ ასეთი გახლავთ ჩემი მეგობარი ოტია სარჩიმელია. დიდი ოჯახის კოლხური ტრადიციების მატარებელი ადამიანი.** ერთხელ შვეიცარიაში მოგზაურობისას ნაძვნარში გაოცებული იდგა კარგა ხანს. რატომ? — უამრავ ნაძვს შორის ჩემი ბავშვობის მეგობარი თხმელა შევიცანიო. პოეტურია არა? ამგვარი გულით გამოიარა ცხოვრებისეული ქარტეხილები, ჩემმა მეგობარმა და რა გასაკვირია, რომ ამაყად, მხარგაშლილად იაროს თავის სამშობლოში, სადაც უამრავი კეთილი ადამიანი ეგულება, მათ შორის გამორჩეულად ბონდო ჯიქია, ფრიდონ თოდუა, ბაკურ გულუა, გიორგი გაჩეჩილაძე, ელდარ ნადირაძე, გურამ მეფარიშვილი, ოთარ ჭითანავა, გოგი კაჭარავა, სულხან პაპაშვილი, თემურ მურღულია, ჯუმბერ ქვარაია, ლეო ჯოჯუა, ზურაბ ჩიქავა, რომელთათვისაც მუდამ მზადაა, ისე დაიხარჯოს ერთგულებასა და თანადგომაში, როგორც მისი სტუდენტობის დროს ისინი ედგნენ მხარში. სევდანარევია მისი უახლოესი სამეგობროს წევრების ნუგზარ ენდელაძის, ტარიელ ქანთარიას, მურთაზ ჩიქობავას, ვიტალი თოფურიას, ედიშერ ჩარგაზიას, თემურ ჯიბლაძის, ჯემალ კბილაშვილის, გია გულუას, დულუ გიორგობიანის ამ ქვეყნიდან მარადიულ ზეციურ საქართველოში გადასახლება.

ასეთია ჩემი მეგობარი ქართული ტრადიციების დარაჯი და ერთგულებისთვის დაბადებული.

**გია გაბრიჭიძე**

## დედამიწის ზურგზე

**დიმიტრი მედვედევს, რომელიც ასრულებს აზიის ტურნეს, კამბოჯაში „მეფურად“ შეხვდნენ**

კორტეჟის გზაზე დადგნენ სკოლის მოსწავლეები. მათ ეჭირათ დროშები რუსეთისა და კამბოჯის სიმბოლიკით, აგრეთვე კაშკაშა ყვავილების თაიგულები. მშვიდობის სასახლესთან მისვლის დროს რუსეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა მედოლეების ორკესტრი. კამბოჯის შემდეგ მედვედევი ეკატერინბურგში გაემგზავრება.

* * *

**აშშ-ში იმ მოზარდის ოჯახი, რომელმაც სკოლაში ბომბის მსგავსი საათი მიიტანა, მოითხოვს კომპენსაციას 15 მილიონი დოლარის ოდენობით**

ადვოკატმა, რომელიც ახმედ მოჰამედის ინტერესებს წარმოადგენს, 10 მილიონი დოლარი მოითხოვა ქალაქ ირვინგის ადმინისტრაციიდან და 5 მილიონი — სკოლიდან, სადაც ჭაბუკი სწავლობდა. ამას გარდა მან მოითხოვა მოეხადათ ახმედის წინაშე წერილობითი ბოდიში მის მიერ განცდილი წამების გამო დაკავებასთან და სკოლიდან დროებითი გარიცხვის გამო.

* * *

**ეგვიპტეში 2 ბომბი აფეთქდა, არის დაღუპული**

ბომბები აფეთქდა სასტუმროს ფარგლებს მიღმა, რომელშიც იყვნენ საარჩევნო კომისიის წევრები. დაიღუპა ერთი კაცი. აფეთქებები ქალაქ ელ-არიშში მოხდა პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის არჩევნებიდან მომდევნო დღეს. ჯერჯერობით პასუხისმგებლობა მომხდარზე არავის უკისრია.

* * *

**აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გააფრთხილა ამერიკელები მოგზაურობათა დროს ტერორისტული აქტების საფრთხის შესახებ**

როგორც უწყების ცნობაშია ნათქვამი, არსებული ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“, „ალ-ყაიდას“, „ბოკო ჰარამის“ და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების ბოევიკები კვლავ ადგენენ ტერორისტული აქტების გეგმებს სხვადასხვა რეგიონში. ამ დროს მათ შეუძლიათ გამოიყენონ იარაღის ჩვეულებრივი და არატრადიციული სახეობები.

* * *

**მიგრანტებმა მაკედონიის საზღვარზე პროტესტის ნიშნად პირები გაიკერეს**

ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთიდან, კერძოდ ირანიდან, ბანგლადეშიდან და მაროკოდან, გაიჩხირნენ მაკედონიის საზღვარზე — ეგვიპტეში მათი არ უშვებენ „ეკონომიკური“ სტატუსის გამო. ამგვარი პოლიტიკის აღშფოთებულმა მიგრანტებმა პირდაპირ ადგილზე დაიწყეს პირების ამოკერვა.

* * *

**დიდი ბრიტანეთის თავდაცვითი სტრატეგია: გაზარდეს „მსუბუქი ძალის“ დაფინანსება და გაავრცელეს გაფრთხილება რუსეთის ფედერაციის განუჭვრეტელობის შესახებ**

ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ახალი სტრატეგია თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. რომელშიც გათვალისწინებულია რუსეთთან თანამშრომლობა უშიშროების საკითხებში და 10 წლის განმავლობაში 178 მილიარდი გირვანქა სტერლინგის გამოყოფის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვისუნარიანობის გაზრდისა და ახალი შეიარაღების შეძენისათვის.





# ჩინოვნიკებო, რა გეპრემიებათ და გეზედანამატებათ?!

**„ოცნების“ მთავრობას რომ ეგონა თავი ქუდში ჰქონდა, პრემიებისა და სახელფასო დანამატების საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილად მიაჩნდა, მართალი არ გამოდგა, დროებით მიჩუმათებულმა პრობლემამ წლის მიწურულს ისევ წამოყო თავი. როგორც ამ დღეებში ქვეყნის გენერალურმა აუდიტმა ლაშა თორდიამ ტელეეთერით განაცხადა, პრემიების შეზღუდვასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ შედეგი ვერ გამოიღო. ფაქტობრივად, „პრემიას“ სახელი შეუცვალეს, „დანამატად“ მონათლეს და გაზარდეს. აუდიტის მონაცემებით, წლის განვლილ პერიოდში შარშანდელთან შედარებით, თანხობრივ გამოხატულებაში, პრემიის სახით გაცემული ანაზღაურება 31 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო სახელფასო დანამატი 45 მილიონით გაიზარდა.**

გენერალურმა აუდიტმა არ დაიზარა და პრემია-დანამატებით გატაცებული ცალკეული სამინისტროების მონაცემები გამოამზეურა. თორდიას განცხადებით, რეგიონული განვითარების სამინისტროში, მაგალითად, დანამატების გაცემის ოდენობა 69 პროცენტით გაიზარდა, იუსტიციის სამინისტროში — 206 პროცენტით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში — 412 პროცენტით, კულტურის სამინისტროში — 1509 პროცენტით, დევნილთა სამინისტროში — 35 პროცენტით, ჯანდაცვის სამინისტროში კი — 270 პროცენტით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რა თქმა უნდა, პრემია-დანამატების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მიაჩნია, რომ აღნიშნული **ფულადი განაცემები უნდა რეგულირდებოდეს შესაბამისი ბრძანებისა თუ დადგენილების მიხედვით. ადამიანები უნდა იღებდნენ პრემიებს, მაგრამ უნდა იყოს დასაბუთებული, რისთვის გაიცა ისინი. ასევე, არ შეიძლება დაუსაბუთებლად, წინასწარ, ერთი წლით ადრე განისაზღვროს, რომ საჯარო პირმა ყოველთვიურად სახელფასო დანამატი უნდა აიღოს.**

სახელმწიფო უწყებებში ანაზღაურების აუდიტის მიერ გაცხადებულმა „პროცენტულმა წარმატებამ“ მინისტრები რატომღაც არ გაახალისა, შეიძლება ითქვას, ერთგვარად გაანერვიულა კიდეც. კულტურის მინისტრი გიორგაძე განცვიფრებული ჩანდა, ჩვენს უწყებაში 1509 პრცენტით თუ გაიზარდა ანაზღაურება, ახლა მე 50 ათას ლარზე მეტი ხელფასი უნდა მქონდესო. აუდიტის მონაცემებს არ დაეთანხმა რეგიონული განვითარების მინისტრი ჯავახიშვილიც, რომლის განმარტებით, ექვსი თვის მაჩვენებლები მთელ წლისაზე გაავრცეს და, ბუნებრივია, მცდარი დასკვნა გამოიტანეს.

უფრო დეტალური განმარტება გააკეთა სახელმწიფო სახსრების ხელგაშლილად ხარჯვის დიდოსტატმა, ქვეყნის პირველმა ფინანსისტმა ნოდარ ხადურმა. ინფორმაცია იმის თაობაზე, თქვა მან, რომ მთავრობამ ხელფასები გაიზარდა, სრული სიცრუეა, ნაცებს უნდა ეყოთ ნამუსი, რომ ამ თემით სპეკულირება დაასრულონ. მოსახლეობა მიზანშეწონილად შეჰყავთ შეცდომაში, დღეს არც ერთი მინისტრი არ იღებს პრემიას, მინისტრის ხელფასი არის 5 ათასი ლარი და ეს ყველაფერი საჯაროა. ხდება დანამატის გაცემა, ლაპარაკია 300-400 ლარზე, რომელსაც დანამატის სახით იღებენ საშუალო და ქვედა რგოლებში ან დეპარტამენტის უფროსები.

მისივე ინფორმაციით, **ფინანსთა სამინისტროს ხელფასები შემცირებულია 2 მილიონი ლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრმა სწორედ საკუთარ თავსა და თანამშრომლებზე გააკეთა ეკონომია. როცა საკუთარი მომჭირნეობით „დაზარალებული“ ხადური თავს გვაცოდებდა, რატომღაც არ გახსენებია მისგანვე „დაზარალებული“ მომსახურების სააგენტოს უფროსი, რომელსაც გულკეთილმა „ხაზეინმა“ რამდენიმე ათასლარიანი პრემია უბოძა.**

ჩინოვნიკთა გულისწყრომა გასაგებია, აუდიტის სამსახურის მონაცემებში შეიძლება მართლაც იყოს გაზვიადება თუ გადაჭარბება (თავად ლაშა თორდიას განმარტებით, ეს მონაცემები საჯაროა და ყველას შეუძლია მის რეალობაში დარწმუნდეს), მაგრამ ყბადაღებული პრემია-დანამატების საკითხი რომ კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად აწევს ამ ხელისუფლებას, ამასაც ვერსად გავექცევით. მართალია, მთავრობის მიერ შარშან მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საჯარო სამსახურში დასაქმებულები, მათ შორის უმაღლესი თანამდებობების პირები, მხოლოდ ხელფასის ოდენობის პრემიას მიიღებდნენ და იმასაც მხოლოდ კვარტალში ერთხელ, მაგრამ თუკი ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა? სპეციალისტთა ერთი ნაწილი მაშინვე ფიქრობდა, რომ ამით პრემია-დანამატების მანკიერი სისტემა ვერ აღმოიფხვრებოდა და ასეც მოხდა.

ყველას გვახსოვს, თავის დროზე ქვეყნის მხსნელებად მოვლენილი ნაცები სინამდვილეში ქვეყნის მყვლეფავები რომ აღმოჩნდნენ, მიუსხდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს და ათასგვარი კორუფციული სქემებითა და „დამსახურებული პრემიებით“ უკანასკნელ გროშამდე გამოხრეს. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ხალხმა იფიქრა, ახლა ნამდვილად გვეშველებაო, მაგრამ იმედი ვერც ამათ გაამართლეს. **ახლად გამინისტრებული მეოცნებენი ჯერ სკამებზეც არ მორგებულიყვნენ და უკვე პრემიებზე გადავიდნენ. იხარბეს, კანცელარიის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა 2012 წლის დეკემბერშივე პრემიის აღება რამდენჯერმე მოასწრო. ამის გამო თვით ნაცებიც კი განცვიფრებას ვერ მალავდნენ: ერთი შეხედეთ, ამ ხალხის მსახურებს, ჩვენ რომ გვადანაშაულებდნენ, ფული თავადაც როგორ ჰყვარებიათო.**

სახელმწიფო სტრუქტურებში ჩინოვნიკთა სახელფასო დანამატებითა და პრემიებით წახალისებამ როგორღაც კანონიერების „პატენტი“ აიღო. რაც უნდა სამწუხარად მოგვეჩვენოს, ამის მაგალითს, მსხვილ სახელმწიფო მოხელეებთან ერთად, იძლევა თვით საკონსტიტუციო სასამართლოც კი, სადაც როგორც ირკვევა, კანონის უზენაესობაზე მეტად მოსამართლეთა სიხარბე ზეობს. **თუ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევის შედეგებს დავუჯერებთ, ხსენებული სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა 2015 წლის პირველ ნახევარში თანამდებობრივი სარგოს, პრემიისა და დანამატის სახით 56925 ლარი მიიღო, 2014 წელს — 134820 ლარი, 2013 წელს — 204675 ლარი. აფერუმ მის მადას!**

ვერაფერს იტყვი, საქართველოს მთავრობას, რომლის მაღალეფექტიან მოღვაწეობას მსოფლიო ბანკმა მაღალი შეფასება მისცა (საქართველოს მსოფლიო მასშტაბით პირველი ადგილი უკავია განვლილი პროგრესის მიხედვით ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და რეგულირების ხარისხი), სახელმწიფო სახსრების ასევე მაღალეფექტიანი მჭამელები ჰყავს. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ **პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე „ძვირი“ მთავრობა ჰყავს — ბიუჯეტი საჯარო მოხელეებს ყოველწლიურად 2 მილიარდს უხდის, რაც ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტის თითქმის მეოთხედს შეადგენს.**

მთავრობა ამ ნაკლოვანებებსა და გაუგებრობებს, რაც საჯარო მოხელეთა ანაზღაურების სისტემაში არსებობს, ხსნის იმით, რომ ჯერ კიდევ არ არის დასრულებული საჯარო სამსახურის რეფორმა, რომელიც დაწყებულია და სახელფასო სისტემის მოწესრიგებას ითვალისწინებს. აი, 2017 წლისთვის ყველაფერი ეს დასრულდება, გვაიმედებს ხელისუფლება, ხელფასს დაერქმევა ხელფასი, დანამატს დანამატი და აღარ მოხდება დანამატების და პრემიების ქაოტურად გაცემაო.

ღმერთმა ქნას, რომ სხვა დაპირებებთან ერთად ეს დაპირებაც შესრულდეს, მაგრამ განა უკეთესი არ იქნებოდა, მთავრობას საჯარო სამსახურის რეფორმა ამ წლებშივე დაესრულებინა და იმ პერიოდისათვის (2017 წ.) არ გადაედო, როცა დამდეგი არჩევნების შედეგებით „ოცნების“ ხელსიუფლებაში განმეორებით მოსვლა სათუო გახდება? მაშინ ხომ მიშნაცების ყოველდღიურ ქილიკსაც გადარჩებოდა, რომლებიც მთავრობას უქნარობასთან ერთად იმასაც აბრალებენ, რომ მატყუარა და ცრუპენტელა გამოდგა, ხალხს კარგ ცხოვრებას, პენსიების 230 ლარამდე გაზრდას შეჰპირდა, მაგრამ ვერ შეასრულა და ქამრებიც თავად კი არა, ისევ დამშეულ ხალხს შემოუჭირაო. **თუმცა ზოგი ექსპერტი ამას მთაროზის დანაშაულად არ თვლის, რა ქნან, გამაძღარ მუცელზე ქამრის შემოჭერა გაუძნელდათ და იძულებული გახდნენ, ეს საქმე ისევ მშივრებისთვის გადაებარებინათო.**

სასაცილოა, რომ ეს ჩვენი პოლიტიკური და ზნეობრივად გაბერწებული ნაცები, თავად რომ თავაუღებლად თქვლეფდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს, ახლა ქოცებს რჩევას აძლევენ, თუ გინდათ, რომ მეორედაც აგირჩიონ ხალხმა, პრემია-დანამატებს მოეშვით, ბიუროკრატიული ხარჯები შეამცირეთ, რესტორნებში ქეიფებს გადაეჩვიეთ და პენსიები 50 ლარით გაზარდეთო. ისე, კაცმა რომ თქვას, ამათ სხვა გზა არცა აქვთ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე, მთავრობას ნებიერი ცხოვრებისა და ხელგაშლილობის უფლებას ნამდვილად არ აძლევს. მართლაც გაუგებარია, როცა ხალხს შია, ამ ჩვენს მინისტრებს, ჩინოვნიკებს თუ პარლამენტარებს (პრემიების გაუქმების პროექტი მეორე მოსმენით ჩააგდეს) რა ეპრემიებათ და ეზედანამატებათ?! არა მგონია, არ იცოდნენ, რომ მათი ასეთი სიხარბე უზნეობის ტოლფასია და საზოგადოების სამართლიან პროტესტს იწვევს.

**ოთარ ხუციშვილი**

**ალიან-ჩალიანი**

## „ვისოლ ჯგუფი“ სტიქიით დაზარალებულს დაეხმარა

**კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ და დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოქრუაშვილების ოჯახს საცხოვრებელი ბინა გადასცეს. ახალდაბაში ჩამოწოლილი მეწყერის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ხუთსულიან ოჯახს „ვისოლ ჯგუფმა“ თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე სამოთახიანი ბინა შეუძინა. „ვისოლ ჯგუფის“ სახელით საცხოვრებელი ბინის სიმბოლური გასაღები დაზარალებული ოჯახის წევრებს სიმბოლურად თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურზე გადაეცა.**

**„ძალიან გვიხარია, რომ ხუთშვილიან ოჯახს ბინას გადავცემთ. პირველივე დღეებიდანვე „ვისოლი“ სხვადასხვა აქტივობას ახორციელებდა. ეს ჩვენი ვალია. ვაკეთებთ იმას, რაც ნებისმიერმა ნორმალურმა ორგანიზაციამ უნდა გააკეთოს. ოჯახს ვუსურვებთ გამარჯვებას, კიდევ ერთხელ ვულოცავ წმინდა გიორგის დღესასწაულს. ბედნიერად, ლამაზად თბილად ეცხოვროთ ახალ გარემოში“, — განაცხადა სოსო ფხაკაძემ. მერიის ინფორმაციით, ისევე როგორც ყველა პირველი კატეგორიის დაზარალებულ ოჯახს, ოქრუაშვილების ოჯახსაც თბილისის მერიიდან 10 500 ლარი ჩაერიცხება.**

**„ვისოლ ჯგუფსა“ და თბილისის მერიას მადლობა გადაუხადა დაზარალებულმა ნათელა ოქრუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად როგორც ფიზიკურად, ისე ეკონომიურად დაზარალდა. „დღევანდელი დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება, მას შემდეგ, რაც ამ ხუთი თვის მანძილზე გადავიტანე“, — დასძინა ნათელა ოქრუაშვილმა.**

**კომპანიის ინფორმაციით, „ვისოლ ჯგუფმა“ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად სტიქიიდან პირველივე დღეებში 10 000 ლარი ჩარიცხა. სუპერმარკეტი „სმარტი“ სტიქიის შედეგად უსახლკაროდ და საარსებო სახსრების გარეშე დარჩენილებს საკვები პროდუქტებით ამარაგებდა. „ვენდი“ და „დანკინ დონატსი“ კი დაზარალებულ ბავშვებს მასპინძლობდა.**

## თანამედროვე ტექნოლოგიის ავტომაგისტრალი

**სამტრედია-გრიგოლეთის პირველი მონაკვეთის მშენებლობა თანამედროვე PVD ტექნოლოგიით მიმდინარეობს.სამტრედია-გრიგოლეთის 11,5 კილომეტრიანი მონაკვეთი ჭარბწყლიანობით ხასიათდება, რის გამოც ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობას თანამედროვე PVD ტექნოლოგიით ხორციელდება.**

**დეპარტამენტის განცხადებით, აღნიშნული ტექნოლოგიის მიხედვით, გზის საფუძველ გრუნტში ვერტიკალური დრენაჟები (ფითილები) თავსდება, რომლებიც ნიადაგიდან წყლის გამოდევნას უზრუნველყოფს. აღნიშნული მეთოდი მომავალში გზის საფარის დეფორმაციის შესაძლებლობას ამცირებს. როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, პროექტი 4 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 8 სახიდე გადასასვლელისა და 27 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობას ითვალისწინებს. ამ დროისათვის, აღნიშნულ მონაკვეთზე გზის საფუძვლის, ხელოვნური ნაგებობებისა და საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.**

**სამტრედია-გრიგოლეთის გზის I მონაკვეთი ქალაქ სამტრედიას და სამტრედიისა და აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ტოლებს, გორმაღალას, პირველ მაისსა და გაუწყინარ გაივლის. პროექტის დასრულების შემდეგ, მოძრაობა კომფორტული გახდება, გაიზრდება უსაფრთხოების დონე, შემცირდება საავტომობილო გადაზიდვების ხარჯი, რაც სატრანზიტო მიმოსვლის ზრდას ხელს შეუწყობს. პროექტის ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით უკრაინული კომპანია „Road Building ALTCOM“ ახორციელებს.**



ჭადრაკი

# გაფრინდაშვილი ჩემპიონობას ვერ ელევა



**ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც იტალიამ უმასპინძლა, 65 წელს გადაცილებულებში თავი ისახელა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც წლეულს გაზაფხულზე ვეტერანთა ევროპის პირველობა მოიგო.** მან აპენინებზეც შეუპოვრად იბრძოლა, ცხრა შესაძლებლობიდან 7 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა თამარ ხმიადაშვილი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. 6-6 ქულით ლუდმილა ციფანსკაიამ (ისრაელი) და ვალენტინა კოზლოვსკაიამ (რუსეთი), შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს. ამ ასაკის მამაკაცებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვლადიმირ ახოტნიკი (საფრანგეთი, 9.5), 2. ანატოლი ვაისერი (საფრანგეთი, 8.5), 3. ვიქტორ კუპრეიჩიკი (ბელარუსი, 8).

საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა 50 წელს გადაცილებულთა ტურნირში, მაგრამ ნინო მელაშვილი (5.5 ქულა), ციალა ქასოშვილი (5), ლელა თანდაშვილი (4.5), გიორგი ბაღათუროვი (7.5) და ვარლამ ვეფხვიშვილი (6 ქულა) საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ.

**გივი გაგუა**

# მსოფლიოს ჩემპიონის ევროპული „ბრინჯაო“

**ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში დამთავრდა მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ქალთა 30 და ვაჟთა 36 ნაკრები მონაწილეობდა. მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონმა საქართველოს მანდილოსანთა ნაკრებმა (ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, კაპიტანი დავით ჯოჯუა, მთავარი მწვრთნელი ელიზბარ უბილავა) ცხრა შეხვედრიდან ექვსი ორთაბრძოლა მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და მხოლოდ რუსეთის ნაკრებთან დამარცხდა, მოაგროვა 14 ქულა და მესამე ადგილი დაიკავა. 18 შესაძლებლობიდან 17 ქულით ოქროს მედალი რუსებმა მოიპოვეს, ხოლო 15 ქულით ვერცხლის მედალი უკრაინის ნაკრებს ერგო.**



რეიკიავიკში საქართველოს ქალთა ნაკრების წევრთა მონაგარი ასეთია: ნანა ძაგნიძე — 4 ქულა (7 პარტიიდან; რეიტინგი 7 პუნქტით გაიუარესა), ბელა ხოტენაშვილი — 3.5 (7; -9.9), ლელა ჯავახიშვილი — 5.5 (7; 6), ნინო ბაციაშვილი — 5.5 (9; -10.8), მერი არაბიძე — 2 (6; —18.5). საგულისხმოა, რომ ჯავახიშვილმა მე-3 დაფაზე რეიტინგ-პერფორმანსით მესამე ადგილი დაიკავა (ჩვენებურს იოვანა ვოინოვიჩმა (სერბეთი) და კატერინა ლაგნომ (რუსეთი) გაუსწრეს).

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა (ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, ლუკა პაიჭაძე, მერაბ გაგუნაშვილი, მთავარი მწვრთნელი ზურაბ სტურუა) მეშვიდე-მერვე ტურებში საჭადრაკო სამყაროს სენსაციები შესთავაზა: მეშვიდეში ჩვენებმა უკრაინის უძლიერეს ნაკრებს აჯობეს - 2.5:1.5, მერვეში კი ფრანგებს დაუზავდნენ — 2:2 და საბოლოოდ 18 შესაძლებლობიდან 11 ქულით მე-9 ადგილი დაიკავეს. პირველ-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, რუსები (15 ქულა), სომხები (13) და უნგრელები (13) გავიდნენ.



ჩვენი ნაკრებიდან განსაკუთრებით გამოირჩა ლევან ფანცულაია, რომელმაც 8 ტურში 6.5 ქულას მოუყარა თავი და რეიტინგ-პერფორმანსით არა მარტო მესამე დაფაზე, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე ყველა ვაჟს გაუსწრო, თან პირადი რეიტინგი 30.8 პუნქტით გაიმდიდრა. დანარჩენ ქართველთა მონაგარი: ბაადურ ჯობავა — 5.5 (9; რეიტინგი გაიმდიდრა 11,5 პუნქტით), მიხეილ მჭედლიშვილი — 5 (9; 8), ლუკა პაიჭაძე — 1.5 (5; -9), მერაბ გაგუნაშვილი — 2 (5, 2).

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ლევან ფანცულაია და ლელა ჯავახიშვილი.**

რაგბი

# ლიდერმა მოიგო და პოზიცია განიმტკიცა



**„ყოჩები“ — „ჯიქი“ 3:19**

**„ყოჩები.“** გოგოლაშვილი, ცირეკიძე, ხარშილაძე (ცერცვაძე, 56), გარუჩავა, დ.ხუციშვილი, სოხაძე (კაჭარავა, 62), ბეგაძე. გოგიშვილი (შენგელია, 68), სვანიძე, ჯაშიტაშვილი (ხოსიტაშვილი, 65), არჩუაშვილი (გრძელიშვილი, 63), ეფრემიძე, გაჩეჩილაძე, ტყეშელიაძე, კიკვიძე (გუგეშაშვილი, 67).

**„ჯიქი.“** კიკნაძე, დევსურაშვილი, ხუციშვილი (ჯინჯიხაძე, 68), გაბროშვილი, ხარაზიშვილი, ნინიძე (ბიწაძე, 75), ზაბახიძე. ჯინჭარაძე (ორაგველიძე, 70), მამრიკიშვილი (საჯაია, 63), გურგენაძე, გოგოლიძე (ჩირგაძე, 58), შენგელია, დიდებულიძე, მჭედლიშვილი (ტუჩაშვილი, 45), სუხაშვილი.

საქართველოს მორაგბეთა წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატს გორის „ჯიქი“ მეწინავეობს. მეორე წრის სტარტზე ლიდერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის ამბიცია მას შემთხვევით არ აქვს. „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გორელებმა ბოლნისის „ყოჩები“ დაამარცხეს 19:3 და გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე ადგილი შეინარჩუნეს.

**X ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:** „ლოკომოტივი“ — „არმია“ 27:3, „ხარები“ — „აია“ 22:13, „ლელო“ — „აკადემია“ 24:7, „ბათუმი“ — „არმაზი“ 21:13.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჯიქი“ | 10 | 7 | 1 | 2 | +80 | 35 |
| „ბათუმი“ | 10 | 7 | 1 | 2 | +44 | 33 |
| „ლელო“ | 10 | 7 | 1 | 2 | +40 | 32 |
| „ლოკომ.“ | 10 | 6 | 0 | 4 | +39 | 29 |
| „აია“ | 10 | 6 | 1 | 3 | +29 | 28 |
| „ყოჩები“ | 9 | 4 | 0 | 5 | -3 | 20 |
| „ხარები“ | 10 | 4 | 0 | 6 | -46 | 18 |
| „აკადემ.“ | 10 | 3 | 0 | 7 | -62 | 15 |
| „არმია“ | 10 | 2 | 1 | 7 | -64 | 14 |
| „არმაზი“ | 9 | 0 | 1 | 8 | -57 | 7 |

**XI ტური.** „ხარები“ — „აკადემია,“ „აია“ — „ბათუმი,“ „არმაზი“— „ყოჩები,“ „ჯიქი“ — „ლოკომოტივი,“ „არმია“ — „ლელო.“

**თამაზ პატარაია**

ჩოგბურთი

# ანტალია მოიგო და იქვე დარჩა

**თბილისელი ეკატერინე გორგოძე ანტალიაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა.** ქართველმა სპორტსმენმა ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან: მიხაელა გიოკა (რუმინეთი), მარა შმიდტი (აშშ), აგნეს ბუკტა (უნგრეთი, 6:1, 6:4) და ანა ბონდარი (უნგრეთი, 6:3, 6:2), ფინალში რუს ელენა რიბაკინას 7:5, 6:7, 6:3 სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. გორგოძე ანტალიაშივე რჩება და სოფიო ქვაცაბაიასთან ერთად ახალ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. იაპონიაში ქალთა 75.000-იან ტურნირში მოსინჯავს ძალებს სოფიო შაფათავა. წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებულ მსოფლიო რეიტინგში ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: ქალები. **ერთეულები.** 216 (240). სოფიო შაფათავა (230), 377 (381). სოფიო ქვაცაბაია (94), 395 (392). ეკატერინე გორგოძე (85), 507 (571). მარიამ ბოლქვაძე (53), 647 (646). ოქსანა კალაშნიკოვა (31). 766 (763). თინათინ ყავლაშვილი (20), 1096 (1096). თამარ ჭალაგანიძე (7), 1197 (1197). ანა შანიძე (4). **წყვილები.** 75 (76). კალაშნიკოვა 91021), 135 (133). შაფათავა (492), 155 (155). გორგოძე (417). 346 (348). ქვაცაბაია (147), 670 (726). ბოლქვაძე (45), 772 (776). ყავლაშვილი (30), 1105 (1107). ანა ახალკაცი (11), 1105 (1107). შანიძე (11), 1181 (1180). ჭალაგანიძე (9).

**ვაჟებიდან ნიკოლოზ ბასილაშვილს კარგა ხანია, ტურნირებში არ უასპარეზია, რაც მის რეიტინგსაც დაეტყო:** 554 ქულით 93-ედან 104-ემდე ჩამოქვეითდა. 309 (300). ალექსანდრე მეტრეველი (158), 917 (930). გიორგი ცივაძე (17), 1136 (1136). გიორგი ჯავახიშვილი (8), 1417 (1423). ალექსანდრე ბაქში (3), 2066 (2076). ირაკლი მეტრეველი (1).



**ლაშა დიდია**

**სურათზე: ეკატერინე გორგოძე.**

ინტერნეტიდან

# შიშველი ქველმოქმედება

**ქველმოქმედება საშური საქმეა და მას ყველა ისე ეწევა, როგორც შეუძლია. რაგბიში დიდი ფული რომ არ ტრიალებს, მით უმეტეს ქალთა რაგბიში, ოქსფორდის უნივერსიტეტის გოგონებმაც გამოსავალი ნახეს და 2016 წლის კალენდრისთვის გაშიშვლდნენ.**

**სიტუაცია ასეთია:** პირველად ქალთა რაგბის ისტორიაში, ისინი ინგლისის რაგბის სახლში შევლენ და ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდი კემბრიჯისას 10 დეკემბერს „თვიქნემზე“ ეთამაშება. იმავე დღეს ამ სტადიონზე კაცთა გუნდების თამაშია დანიშნული და ქალები მაყურებლის განწყობის ამაღლებას შეეცდებიან. სტადიონზე გაიყიდება კალენდარი ოქსფორდის უნივერსიტეტის წევრთა შიშველი ფოტოებით 13 სხვადასხვა სარაგბო მდგომარეობაში და მისი შეძენა ინტერნეტის მეშვეობითაცაა შესაძლებელი. ფასი 10-12 გირვანქა სტერლინგია და შეგროვილი თანხა ქალებში საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემის და სიმსუქნის აღმოსაფხვრელად უნდა გამოიყენონ.

გუნდის კაპიტანი კარლა ბლისი ამბობს, რომ მიუხედავად სიცივისა, ეს იყო დიდი დღე და ყველამ უდიდესი სიამოვნება მიიღო. ამინდი მართლაც ცუდი იყო და ამის გამო გადაღებებს შორის ტიტლიკანა გოგონებს გასახდელში უწევდათ გათბობა. კაპიტნის თქმით, ქველმოქმედებამ მას და მის თანაგუნდელებს სიმამაცე შემატა და სიცივეც დააძლევინა.

ოქსფორდელთა მსგავსად, ტრადიცია არ დაარღვიეს ლივერპულის უნივერსიტეტის გოგონებმაც, რომლებიც უკვე მესამე წელია ამ გზით ცდილობენ წვლილი შეიტანონ ქველმოქმედებაში და როგორც თვითონ ამბობენ, კალენდრის გაყიდვით მიღებული თანხით გუნდის წვრილმანი ხარჯების დაფარვასაც ახერხებენ.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ფეხბურთი



# ევროპის სტადიონებზე

**ესპანეთი.** „რეალი“ — „ბარსელონა“ 0:4, „ბეტისი“ — „ატლეტიკო“ 0:1.

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „მილანი“ 1:0, „ინტერი“ — „ფროსინონე“ 4:0.

**ინგლისი.** „სიტი“ — „ლივერპული“ 1:4, „ჩელსი“ — „ნორვიჩი“ 1:0.

**გერმანია.** „აინტრახტი“ — „ბაიერნი“ 1:3, „ჰამბურგი“ — „ბორუსია“ 3:0.

**საფრანგეთი.** „ლორიანი “ — „პსჟ“ 1:2, „სენტ ეტიენი“ — „მარსელი“ 0:2.

**გიორგი შოთაძე**



ინფორმაცია

## ბაგრამის საავიაციო ბაზაზე გიორგობის დღესასწაული აღნიშნეს

გიორგობის დღესასწაული ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე დისლოცირებულმა ქართულმა ქვედანაყოფმა საქართველოს შეიარაღებული ძალების დელეგაციასთან ერთად აღნიშნა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეროვნული გვარდიის სარდალი, ბრიგადის გენერალი ლევან გამყრელიძე, სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდალი, პოლკოვნიკი მიხეილ სადუნიშვილი, II ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი დავით ფოფხაძე და III ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი როლანდ კიკნაველიძე სამხედროებთან ერთად ბაზის ტერიტორიაზე მოქმედ სამლოცველოში წირვას



დაესწრნენ. სალვთო ლიტურგია მამა ავთანდილმა აღასრულა. წირვას უცხოელი სამხედრო და სამოქალაქო პირებიც დაესწრნენ.

დელეგაციის წევრები 22-ე ბატალიონისა და ეროვნული გვარდიის სწრაფი რეაგირების მეორე ქვეითი ოცეულის საცხოვრებელ პირობებსაც გაეცნენ და სამხედროებს პირადად გაესაუბრნენ.

II ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას 2015 წლის ოქტომბრიდან ასრულებს. ბატალიონის უმთავრეს ამოცანას ბაზის შიდა და გარე უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს.


# შპს „მ. შენგელიას კლინიკა“

## სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი



### საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა

- ტანდეგობის დარღვევა (სკოლიოზი, კიფოზი)
- ბრტყელტერფიანობა
- მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობა
- ოსტეოქონდროზი
- რადიკულიტი
- იშიაზი
- დისკოპათია
- ხერხემლის მალთაშორისი დისკის თიაქარი
- ოპერაციის შემდგომი მკურნალობა
- სახის ნერვის ნეფრიტი
- სამწვერა ნერვის ნეფრიტი
- მიოზიტი
- ორთოპედის გასინჯვა
- ნევროპათოლოგის კონსულტაცია
- კლინიკური სპონდილომეტრია
- ბრტყელტერფიანობის დიაგნოსტიკა პლანტოგრამით
- სამკურნალო მასაჟი
- სამკურნალო ვარჯიში
- ფიზიოპროცედურები
- აკუპუნქტურა — იაფად
- მიკრო ინიექციები

მის: ა. მეგრელიძის ქ. 23, I სართული
ტელ: (032) 2 39 12 72
მობ: (+995) 577 745 938
(+995) 558 625 846.



მითითებული ქუჩების მაცხოვრებლები ისარგებლებენ შეღავათებით.


ეპიტაფია

# სწამდა უფალი, უყვარდა სამშობლო, თავისი ერი

## ვლადიმერ ქარსელაძის ხსოვნას

მოულოდნელად აღესრულა **ვლადიმერ (ვოვა) გიორგის ძე ქარსელაძე**. დაიბადა თბილისში 1947 წლის 6 აპრილს. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომლის დამთავრების შემდეგ იყო ახალგაზრდობის ლიდერი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, სხვადასხვა დროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროში („სპუტნიკში“), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გაერთიანება „საქსოფლდამზადებასა“ და „კვებარომატკომპლექსში“, ქონების მართვის სამინისტროში.



იყო საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მდივანი საორგანიზაციო საკითხებში (1992-94) „შემდგომში — საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, მოგვიანებით ძალზე განიცდიდა, რომ მისი არაერთი ყოფილი თანაგუნდელი „რეფორმატორი“ აღმოჩნდა „ვერღირსებით აღზევებული“, დიდად განშორებული ადამიანურ და ეროვნულ ნიადაგს...

ვოვა ქარსელაძე იყო სიცოცხლით სავსე, კაცთმოყვარე, ხალისიანი და მოუსვენარი, მიზანდასახული, ზოგჯერ მოჭარბებულად მიმნდობიც, ოჯახზე, მეუღლეზე, შვილებსა და შვილიშვილებზე მზრუნველი, მრავალთა ჭირვარამის გამზიარებელი, მუდამ მეგობრებში მოფუსფუსე გულიანი ვაჟკაცი, მშობლიური ბორჯომის, ქვეყნის ერთგული მოქალაქე.

ერთ-ერთ ბიოგრაფიულ საცნობარო გამოცემაში იგი ასე აყალიბებს საკუთარ მსოფლმხედველობას, კრედოს: „მწამდეს უფალი, მიყვარდეს სამშობლო, ერი ჩემი; ვაკეთო სიკეთე უანგაროდ, მყავდეს მართალი მეგობრები, ყოველთვის გავითვალისწინო სხვისი სწორი აზრები; სხვისი თვალით შევხედო ჩემს საქციელს, რათა ნაკლებად შევცდე“. ასეთი იყო ვოვა ქარსელაძე და ამიტომაც გვიმძიმს მასთან განშორება...

ნათელში ამყოფოს უფალმა და განანათლოს სული მისი!

**მეგობრები**

---

ვალერი ასათიანის ოჯახი გამოთქვამს დიდ მწუხარებას

**ვოვა ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

თამარ, მირზა ქორქაშვილები შვილებით გიორგი, ქეთი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი

**ვოვა (ვლადიმერ) ქარსელაძე**

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

მეხუთე მოწვევის საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების“ წევრები მელორ ტყეშელაშვილი, მერაბ სამადაშვილი, გოგი ლიპარტელიანი, დემურ გადელია, არჩილ გოგელია, როლანდ მგალობლიშვილი, გურამ ვახტანგაშვილი, ალბერტ ინდუაშვილი, ვახტანგ ყანჩაველი, რევაზ სუჯაშვილი, პეტრე ბერაია, ჯემალ მებუკე, რევაზ ნოდარიშვილი, თემურ ჯაფარიძე, გოჩა ქიმაძე, გოჩა გვარამაძე, რევაზ არველაძე, ენზელ მკოიანი, არმაზ შამანაური ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ 1999-2004 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრის

**ვლადიმერ ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ალექსანდრე შენგელია და გაზეთისა და გამომცემლობა „სარკმელი საქართველოსი“ შემოქმედებითი მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ გაზეთის რედაქტორთა საბჭოს წევრი, ქართველ მეღვინეთა სახელოვანი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი, შპს „ვაზი-2008“-ის დამფუძნებელი, ღვინის რამდენიმე ცნობილი მარკის ოფიციალური ავტორი

**ჯემალ გიორგის ძე ახვლედიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, უახლოეს ნათესავებს, მეგობრებსა და მის იმ მრავალრიცხოვან კოლეგებს, რომლებთან ერთად 60 წელიწადი იღვაწა, რათა „სისხლსა ყურძნისასა ვსუმდეთ ღვინოსა“.


რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.


ინფორმაცია

## საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს, არდადეგები 14 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

სასწავლო პროცესი 15 იანვარს განახლდება.

რაც შეეხება, კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, განათლების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღებს თავად განსაზღვრავენ.

## საზღვარზე უკანონოდ ჯგუფურად გადმოდიოდნენ

შსს-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 17 პირი დააკავა. ამის შესახებ შსს განცხადებას ავრცელებს.

სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პირველი სამმართველოს (ბათუმი) №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე, სომალის რესპუბლიკის 15, საქართველოს 1 და თურქეთის რესპუბლიკის 1 მოქალაქე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, სატვირთო ავტომანქანაში არსებული სპეციალური სამალავის მეშვეობით, სომალის რესპუბლიკის მოქალაქეების თურქეთში უკანონოდ გადაყვანას ცდილობდნენ.

# თუ ვბერდებით, დავბერდეთ ლამაზად!

**სიბერე — სიხარული არაა, ამბობენ. მაგრამ იგი მიდის ყველასთან. მაშ, როგორ შევხვდეთ მას ლამაზად?**

**მეცნიერების ახალი ნაშრომები გვიპასუხებენ ამ შეკითხვაზე.**

**გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლარისა მარიამიძე.**

### მოხდენილია — ახალგაზრდად გამოიყურება

**— ქალბატონო ლარისა, რა არის სიბერე? ნაოჭები თუ უძლურება?**

— ჩემი, ენდოკრინოლოგის აზრით, სიბერე იწყება წონის მომატებით, თანაც არა თანაბარზომიერი მომატებით, არამედ როდესაც ცხიმის დაგროვება ძირითადად ხდება მუცელზე და შინაგან ორგანოებზე. სიმსუქნის ასეთი ტიპი — ესაა თითქმის ყველა დაავადების რისკი, რომელიც ჩვენთან ასოცირდება სიბერესთან: არტერიულ ჰიპერტენზიასთან, ათეროსკლეროზთან, გულის იშემიურ დაავადებასთან, მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტთან და ა.შ. მეცნიერებმა გამოიკვლიეს მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების დაბერება და გამოარკვიეს: სიბერის ერთ-ერთი პირველი ნიშანია მითოქონდრიები — მათში ცხიმის დაგროვება.



**— ამიტომაა, რომ ხანდაზმულთა შორის ასე ბევრია მსუქანი?**

— ქალების მენოპაუზში 50-55 წლების შემდეგ ჰორმონალური გარდაქმნის გამო იწყება წონაში მატება. საშუალოდ კლიმაქტიური პერიოდის პირველი 5-7 წლის განმავლობაში სხეულის მასა იზრდება 5 კილოგრამით. ამას გარდა, მნიშვნელობა აქვს ხანდაზმული ადამიანის ნივთიერებათა ცვლის აქტიურობის დაქვეითებას. იცვლება ცხოვრებისეული განწყობაც. ახალგაზრდა ადამიანებისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია სექსუალური მიმზიდველობა, ამიტომ ისინი მეტად ზრუნავენ გარეგნული იერისათვის, სწორი კვებისათვის, თვალყურს ადევნებენ ფიგურას. ხანდაზმულებისათვის სექსი არც ისე აქტუალურია, და ადამიანები დუნდებიან. ხშირად საჭმელი კმაყოფილების ძირითადი წყაროა.

**— ესე იგი, რაც ცოტას ჭამ, მით მეტს იცოცხლებ?**

— უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — რაც ნაკლებია რაციონის კალორიულობა. სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურეს: სიცოცხლის ხანგრძლივობა უკუდამოკიდებულებაშია კალორიების მოხმარების ოდენობასთან. ამერიკის შეერთებულ შტატებში რაციონის საშუალო კალორიულობა — 3700 კილოკალორიაა ყოველდღიურად. იაპონიაში იგი 27 პროცენტით დაბლაა, სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 4-5 წლით მეტია. როგორ შევამციროთ კალორიულობა? უნდა შევამციროთ მარტივი ნახშირწყლები — შაქარი, თეთრი ფქვილის ნაწარმი, ტკბილეულობა, ტკბილღვეზელა. ამას პლუს — შევამციროთ ცხოველური ცხიმების მიღება, ამოვიღოთ არაყანი, მაიონეზი, ძეხვი და სოსისები და ა.შ. და აუცილებლად მოვიხმაროთ უცხიმო რძის პროდუქტები (კალციუმის წყარო, ძვლების სიჯანსაღე). ვეცადოთ, ჩავრთოთ რაციონში უფრო მეტი ადგილობრივი სეზონური ბოსტნეული და ხილი, თევზი.

### იძინეთ მეტი!

**— სიახალგაზრდავის გახანგრძლივების კიდევ რა საშუალებებია?**

— ისინი ყველასთვის ცნობილია — რეგულარული გამოკვლევები ექიმთან, უნარი გავუძლოთ სტრესებს, ფიზიკური ვარჯიშები, აქტიური შრომა, მათ შორის ინტელექტუალური, გასეირნებანი დღისით (გამომუშავდება D ვიტამინი), სრულფასოვანი ძილი, მრავალფეროვანი და აქტიური სოციალური ცხოვრება. რეკომენდაციები ისეთი მარტივია, რომ ბევრს ჰგონია, თითქოს ისინი არაეფექტურია. ეს კი ასე არაა.

**— მეტი უნდა ვიძინოთ?**

— მეტი, შესაძლებლობის მიხედვით — 9-10 საათი, ამისთვის კი — ადრე დავწვეთ. თანაც მნიშვნელოვანია, რომ გვეძინოს ღამით. ამჟამად უფრო აქტიური ხდება სინათლის დესინქრონოზის პრობლემა — სინათლისა და სიბნელის პერიოდების დარღვევა, განსაკუთრებით დიდი ქალაქების მცხოვრებთათვის, სადაც ბევრია ხელოვნური განათება. დადასტურებულია, რომ სინათლის დესინქრონოზი იწვევს ქრონიკულ სტრესს, ბლოკავს მელატონინის (ძილის ჰორმონის) გამომუშავებას და იწვევს ასაკობრივი, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების პროვოცირებას. როგორ შევამციროთ რისკი? ძილის წინ მჭიდროდ დახურეთ ფარდები, გამორთეთ ტექნიკის ნათურები, მონიტორების ეკრანები. ღამის ლამპის შუქი უნდა იყოს წითელი ფერის — იგი არც ისე ძლიერ ამცირებს მელატონინის გამომუშავებას, როგორც თეთრი ან ლურჯი აი მელატონინის აბების მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე არ ღირს — წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ გამომუშავდება საკუთარი.

**— რა სიახლეა მედიცინაში სიახალგაზრდავის გახანგრძლივებისთვის?**

— კანის მდგომარეობის, კუნთების ტონუსის გაუმჯობესებისათვის, წონის კორექციისათვის ეფექტიანია მასაჟები, შეფუთნა ზღვის წყალმცენარეებით, პრესოთერაპია, კრიოსაუნა (ადამიანი 1 წუთით შედის კამერაში, სადაც ტემპერატურა მინუს 130 გრადუსია). ორგანიზმის საერთო გადაღლილობის თავიდან აცილებისათვის საჭიროა — წყლით მკურნალობა, განსაკუთრებით ქლორიდულ-ნატრიუმის ნახშირმჟავა აბაზანები, არომასაუნა, ფლოატინგი (წყლით მკურნალობის სახეობა, როდესაც ადამიანი ცურავს ზედაპირზე და დუნდება), ინჰალაცია ზღვის ჰაერით და ა.შ. დამუშავებულია გამოჯანმრთელებისა და ასაობრივ დაავადებათა პროფილაქტიკის, ჯანსაღი ძილის აღდგენის, სამკურნალო ფიზკულტურის პროგრამები. როგორც კოკო შანელი ამბობდა, ლამაზად დაბერება — ეს ხელოვნებააო. იგი შეიძლება ისწავლო!

**— ზოგიერთ ქვეყანაში გვთავაზობენ ერთმანეთს შევუხამოთ ღვინოთერაპია და სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა...**

— დიახ, დამუშავებულია კლინიკური რეკომენდაციები. ხარისხიანი წითელი ღვინო ახანგრძლივებს სიახალგაზრდავეს — მასში განსაკუთრებული ნივთიერების — რესვერატროლის — შემცველობის გამო. ოღონდ თუ მას დავლევთ პროფილაქტიკული დოზებით — ერთი ბოკალი დღეში. ბოროტად გამოყენებას უკუეფექტთან მივყავართ.

### სიცოცხლის გახანგრძლივების 13 წესი

**(ჟენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის რეკომენდაციები)**

**დაუსახეთ ტვინს არატრივიალური ამოცანები.**
**მიირთვით პამიდორი.**
**გათხოვდით — მოიყვანეთ ცოლი.**
**დაწექით დასაძინებლად ადრე.**
**მიირთვით პურის ქერქი.**
**უგულებელყავით საზოგადოებრივი აზრი.**
**იყოლიეთ ოჯახის ცხოველი.**
**შეიყვარეთ შოკოლადი.**
**შეიძინეთ რწმენა (უფლისა ან თავისა).**
**ისწავლეთ ენები ან ნოტების კითხვა.**
**უსმინეთ კლასიკურ მუსიკას.**
**იმეგობრეთ მზესთან.**
**იცეკვეთ!**

## ფულიანი ბიზნესმენების საყურადღებოდ!

**ვისაც გსურთ 1 000 000 აშშ დოლარის მოგება ერთ წელიწადში, გამოგვეხმაურეთ!**

გთავაზობთ 4 ან 5 ადამიანს კარგ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმას, საკუთრებაში მაქვს 1000 კვ.მ. მიწის ფართი (ქ. თბილისი, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე). შეიძლება არანაკლებ 5500 კვ.მეტრი საცხოვრებელი ფართის აშენება. ხოლო კომერციული საქმიანობის მიზნით ამჟამად გვაქვს დამტკიცებული მშენებლობის ნებართვა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით მესაკუთრეს საკუთრებაში არსებული მიწის ფართზე შეიძლება გამოყენებული იქნას მრავალფუნქციური (მათ შორის საცხოვრებელი დანიშნულების მიზნით) არანაკლებ 3 000 000 (სამი) მილიონი ინვესტიციის განხორციელება.

**მსურველებს გთხოვთ, დამიკავშირდეთ ტელეფონზე 577 46 93 53, ზევსი.**

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## ყურადღება!

**დიდ დიღომში,** „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

## ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი.

ტელ: 599 370035, მანანა.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**ტიპი მაღაზიაში შევიდა, სიგარეტი იყიდა და იქვე გააბოლა.**

**— აქ მოწევა არ შეიძლება! — ეუბნება გამყიდველი.**

**— როგორ? მე ხომ ახლახან სწორედ აქ ვიყიდე სიგარეტი!**

**— მერე რა? აქ ტუალეტის ქაღალდიც იყიდება!**

* * *

**დილით შეშინებული პირადი მდივანი ქალი შეფთან შედის.**



**— ივან ივანიჩ, მე თქვენ სულ ორიოდე წუთის წინათ გნახეთ ქვემოთ, ტუალეტში...**

**— ლენოჩკა, ნუ ინერვიულებ, ის ჩემი ტყუპისცალი იყო.**

**— კარგი, არ ვინერვიულებ, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ დილის სექსი უკვე გვქონდა.**

* * *

**— მთელი სადარბაზოს გასაგონად ვიყვირებ, რომ მიყვარხარ!**

**— რატომ მარტო სადარბაზოს და არა მთელი კორპუსის გასაგონად?**

**— კარგი ახლა, ასე ძალიანაც ნუ დაიფასებ თავს!**

* * *

**— მამი, რატომ არის საჭირო სწავლა?**

**— რათა ცოდნა მიიღო, შვილო.**

**— რატომ არის საჭირო ცოდნა?**

**— იმიტომ, რომ მუდამ შეგეძლოს, ცოლს მიახალო „ხმა ჩაიწყვიტე ჩერჩეტო. ეს უშენოდაც ვიცი“.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე